პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 28-ე წელი

პარასკევი, 9 აპრილი, 1948 წ. № 71 (8115). ფასი 20 კაპ.

მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას ხვნა-თესვაში

საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობებში ხვნა-თესვა წარმატებით მიმდინარეობს. წითელწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, თბილისისა და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობებმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმა. ვადამდე შეასრულეს საგაზაფხულო ხვნის მიმდინარე წლის დავალებანი თელეთისა და გარდაბნის მტს-ებმა. მაგრამ ასეთი მაგალითები ცოტაა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრგან უდარდელად მოეკიდნენ ხვნა-თესვის სამუშაოებს იმ მოტივით, რომ ამინდი გაუმჯობესდება და ერთბაშად მოვასწრებთ ყველაფერსო. ამის გამო ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო ხვნა ჩამორჩა. 5 აპრილისათვის მოხნული იყო 120.579 ჰექტარი, გეგმის 37,6 პროცენტი. აშკარად არადამაკმაყოფილებელია თესვის ტემპიც. საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილია 28.847 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, გეგმის 5,6 პროცენტი. შარშან ამ დროისათვის დათესილი იყო 112.615 ჰექტარით მეტი. აპრილის პირველ ხუთდღიურში წელს მხოლოდ 5.474 ჰექტარი დაითესა. თესვაში ყველაზე მეტად ჩამორჩნენ ქარელის, გორის, გურჯაანის, თელავისა და მცხეთის რაიონების კოლმეურნეობები.

ხვნა-თესვისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა ზოგიერთი მტს-ი. მაგალითად, შინდისის მტს-ში უზრუნველყოფილი არ არის ტრაქტორების ორცვლად მუშაობა, მტს-ი კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებას არ ასრულებს, არის ტრაქტორების გაცდენის შემთხვევები. წნორის მტს-მა საგაზაფხულოდ მხოლოდ 931 ჰექტარი მოხნა, გეგმის 22 პროცენტი. აქ სუსტად იბრძვიან ტრაქტორების სრული დატვირთვით გამოსაყენებლად. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც იორის მტს-შია.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის დასაჩქარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა პირუტყვის კარგად მომზადებას. მაგრამ ყველგან არ ითვალისწინებენ ამას. მაგალითად, ბორჯომის რაიონის სოფელ ჯობისხევის კოლმეურნეობაში 110 სული ხარი მოუვლელობით დასუსტებულია. ასეთი ფაქტები სხვაგანაც არის. საჭიროა მუშა-პირუტყვის მოვლის გადაჭრით გაუმჯობესება და დასუსტებული საქონლის გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანა.

ხვნა-თესვის დაჩქარების აუცილებელი პირობაა შრომის სწორი ორგანიზაცია. ბევრგან სწორად დააკომპლექტეს საკოლმეურნეო ბრიგადები და რგოლები, მოწინავე ბრიგადების, რგოლების გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე შეადგინეს კოლმეურნეობის 1948 წლის საწარმოო გეგმა. ამან კიდევ უფრო დააინტერესა კოლმეურნეები შრომის ფრონტზე ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. სამწუხაროდ, არ შეიძლება ითქვას, რომ ყველგან სათანადო ყურადღება ექცეოდეს შრომის მოწესრიგებას. მაგალითად, ხაშურის, რაიონის სოფელ გომის 21 იანვრის სახელობის კოლმეურნეობაში გააჭიანურეს ბრიგადებისა და რგოლების დაკომპლექტება, სათანადო აქტებით მიწებიც არ მიუჩინეს, შრომადღეების აღრიცხვა და დარიცხვა მოუგვარებელია, გამომუშავების ნორმები არ განუხილავთ და არ დაუმტკიცებიათ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე. მსგავს ნაკლოვანებათა გამოსწორება, შრომის სწორად მოწყობისა და მტკიცე დისციპლინისათვის ყოველდღიური ბრძოლა თესვის გეგმის შესრულების მნიშვნელოვანი პირობაა.

ახლა ჩვენს წინაშე დგას საბრძოლო ამოცანა — მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას ხვნა-თესვაში, მთელი ძალები დავრაზმოთ ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსასწორებლად. უკვე დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა. მალე სიმინდის თესვაც მასობრივად გაჩაღდება. საჭიროა მთელი ძალების უნარიანი განაწილება და გამოყენება მინდვრის სამუშაოთა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დასამთავრებლად.

უნდა გავითვალისწინოთ წლევანდელი გაზაფხულის თავისებურება და მის შესაბამისად გარდავქმნათ მუშაობა. ცნობილია, რომ წელს გაზაფხული დაგვიანებით დადგა. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — მრავალჯერ გავაძლიეროთ ხვნა-თესვის ტემპი, გამოვიჩინოთ მეტი ორგანიზებულობა, მეტი დისციპლინა, მეტი უნარი. გაზაფხულის დაგვიანების გამო ხვნა-თესვის დრო შემცირებულია. ამიტომაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს **თესვის უაღრესად მოკლე ვადებში ჩატარებას.** არ უნდა ველოდეთ მთელი მასივის სამუშაოდ მომზადებას, საჭიროა ნიადაგი მოვხნათ და ვთესოთ შერჩევით.

ხვნა-თესვის ტემპის გაძლიერებასთან ერთად აუცილებელია მკაცრი კონტროლი დავაწესოთ მინდვრის სამუშაოთა ხარისხისადმი, აგროტექნიკის წესების სრული დაცვისადმი.

საგაზაფხულო სამუშაოთა ორგანიზებულად, სწრაფად და მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეში დიდია მტს-ების როლი. უწინარეს ყოვლისა საჭიროა უზრუნველვყოთ თვითეული ტრაქტორის დღისითა და ღამით მუშაობა, არ დავუშვათ ტრაქტორის გაცდენა, ეკონომიურად ვხარჯოთ საწვავ-საცხები მასალა.

სოფლის პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან კარგად იცნობდნენ მტს-ის თვითეული ბრიგადის, თვითეული კოლმეურნეობის მუშაობას, სწრაფად შეისწავლონ ცალკეულ კოლმეურნეობებში და ბრიგადებში ჩამორჩენის კონკრეტული მიზეზები და მიიღონ ზომები მათ გამოსასწორებლად.

მთელი პარტიულ-პოლიტიკური, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა სოფლად უნდა დავუქვემდებაროთ თესვის გეგმის საუკეთესო ვადებში შესრულების ამოცანას. ამჟამად დამდგარი ამინდი ყოველმხრივ ხელსაყრელია ხვნა-თესვის დასაჩქარებლად. ყოველი დღე, ყოველი საათი გამოვიყენოთ ნაყოფიერად!

ახლოვდება მუშათა საერთაშორისო დღესასწაული — პირველი მაისი. საქართველოს მშრომელები ამ თარიღისათვის ახალ საჩუქრებს უმზადებენ სამშობლოს. ფართოდ გავაჩაღოთ სამაისო სოციალისტური შეჯიბრება სოფლად, ვთესოთ სწრაფად და კარგად, პირველ მაისს შევხვდეთ გადამწყვეტი წარმატებებით ხვნა-თესვის ფრონტზე.

ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა ფინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

7 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა ფინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი მ. პეკალა, საგარეო საქმეთა მინისტრები ბ-ნი კ. ენკელი და ბ-ნი რ. სვენტო, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ლეინო, სეიმის ვიცე-თავმჯდომარე ბ-ნი უ. კეკონენი, სეიმის დეპუტატები ბ-ნი ო. პელტონენი და ბ-ნი ი. სედერიელმი, ფინეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი კ. სუნდსტრემი, გენერლები ა. ჰეინრიკსი და ვ. ოინონენი.

საბჭოთა მხრივ სადილზე იყვნენ ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ჟდანოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. ვიშინსკი, ვ. ა. ზორინი, ა. დ. კრუტიკოვი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, ადმირალი ა. გ. გოლოვკო, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ფ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის დესპანი ფინეთში გ. მ. სავონენკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები ა. ნ. აბრამოვი, თ. თ. მოლოჩკოვი, ბ. თ. პოდცეროზი.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაცია

1948 წლის 7 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რატიფიკაცია უყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1948 წლის 18 მარტს.

დათესილია 176 ჰექტარი შაქრის ჭარხალი

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში წელს გეგმით 6.000 ჰექტარი შაქრის ჭარხალი უნდა დაითესოს. აპრილის პირველი რიცხვებიდანვე ცალკეულ კოლმეურნეობებში გაჩაღდა ჭარხლის თესვა. კასპის რაიონმა 5 აპრილისათვის დათესა 163 ჰექტარი შაქრის ჭარხალი (გეგმის 14,2 პროცენტი), ქარელისამ—13 ჰექტარი (0,9 პროცენტი).

ხელმოწერილია ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

ამ უკანასკნელი დღეების მანძილზე მოსკოვში სწარმოებდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების საკითხზე. მოლაპარაკება სწარმოებდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვსა და ფინეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ მ. პეკალას შორის.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი და ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის დესპანი ფინეთში გ. მ. სავონენკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-5 ევროპული განყოფილების გამგე ა. ნ. აბრამოვი. ფინეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის დელეგაციის წევრები — საგარეო საქმეთა მინისტრები ბ-ნი კ. ენკელი და ბ-ნი რ. სვენტო, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ლეინო, სეიმის ვიცე-თავმჯდომარე ბ-ნი უ. კეკონენი და სეიმის დეპუტატები ბ-ნი ო. პელტონენი და ბ-ნი ი. სედერიელმი.

მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარებული მოლაპარაკების შედეგად 6 აპრილს კრემლში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა და ფინეთის პრეზიდენტის რწმუნებით პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა მაუნო პეკალამ.

ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი.

ფინეთის რესპუბლიკის მხრივ ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი კ. ენკელი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი რ. სვენტო, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ლეინო, ფინეთის სეიმის ვიცე-თავმჯდომარე ბ-ნი უ. კეკონენი, სეიმის დეპუტატები ბ-ნი ო. პელტონენი და ბ-ნი ი. სედერიელმი, დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი კ. სუნდსტრემი, გენერლები ბ-ნი ა. ჰეინრიკსი და ბ-ნი ვ. ოინონენი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი და ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის დესპანი ფინეთში გ. მ. სავონენკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-5 ევროპული განყოფილების გამგე ა. ნ. აბრამოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო-უფლებრივი სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ა. ბუევი და სხვები.

ხელშეკრულების ხელმოწერისას ვ. მ. მოლოტოვმა და ბ-ნმა მ. პეკალამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ქვემოთ მოგვყავს ხელშეკრულების ტექსტი.

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომლებიც

მიზნად ისახავენ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას,

დარწმუნებული არიან იმაში, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცება ორივე ქვეყნის საარსებო ინტერესებს შეესაბამება,

მხედველობაში იღებენ ფინეთის მისწრაფებას განზე დარჩეს დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს შორის წინააღმდეგობათაგან და

გამოსთქვამენ თავიანთ განუხრელ მისწრაფებას თანამშრომლობისაკენ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დამყარების ინტერესებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად,

გადასწყვიტეს ამ მიზნით დასდონ ეს ხელშეკრულება და თავის რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი;

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა—მაუნო **პეკალა**, ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც სათანადო ფორმით შედგენილი და სრულ წესრიგში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

იმ შემთხვევაში, თუ ფინეთი ან საბჭოთა კავშირი, ფინეთის ტერიტორიის მეშვეობით, გახდებიან ობიექტი სამხედრო აგრესიისა გერმანიის ან გერმანიის რომელიმე მოკავშირე სახელმწიფოს მხრივ, ფინეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოვალეობის ერთგული ქვეყანა, იბრძოლებს აგრესიის მოსაგერიებლად. ამასთან ფინეთი თავის განკარგულებაში არსებულ ყველა ძალას გამოიყენებს თავისი ტერიტორიის ხელშეუხებლობის დასაცავად ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში, იმოქმედებს რა თავისი საზღვრების ფარგლებში, ამ ხელშეკრულებით ნაკისრ თავის ვალდებულებათა შესაბამისად, თუ საჭირო გახდება საბჭოთა კავშირის დახმარებით ან მასთან ერთად.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში საბჭოთა კავშირი გაუწევს ფინეთს საჭირო დახმარებას, რის აღმოჩენის შესახებაც მხარეები ერთმანეთს შეუთანხმდებიან.

მუხლი 2

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ იქნა 1-ლ მუხლში გათვალისწინებული სამხედრო თავდასხმის საფრთხე.

მუხლი 3

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ადასტურებენ თავიანთ განზრახვას სავსებით გულწრფელად მიიღონ მონაწილეობა ყველა ღონისძიებაში, რაც მიმართული იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისაკენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 4

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ადასტურებენ ვალდებულებას, რომელსაც შეიცავს 1947 წლის 10 თებერვალს პარიზში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების მე-3 მუხლი,—არ დასდონ რაიმე კავშირი ან მონაწილეობა არ მიიღონ კოალიციებში, რომლებიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარის წინააღმდეგ.

მუხლი 5

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ადასტურებენ, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იმოქმედონ თანამშრომლობისა და მეგობრობის სულისკვეთებით საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების მიზნით.

მუხლი 6

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ დაიცვან მათი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, ურთიერთპატივისცემის და მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

მუხლი 7

ამ ხელშეკრულების განხორციელება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპთა შესაბამისი იქნება.

მუხლი 8

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას და იმოქმედებს ათი წლის განმავლობაში მისი ძალაში შესვლის დღიდან. ხელშეკრულება ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან, რაც მოხდება ჰელსინკში შესაძლო მოკლე ვადაში.

თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე აღნიშნული ათი წლის ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე უარს არ იტყვის ხელშეკრულებაზე, იგი ძალაში დარჩება ყოველი შემდგომი ხუთი წლის მანძილზე, სანამ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე მიმდინარე ხუთწლედის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე წერილობით არ განაცხადებს, რომ განზრახვა აქვს შესწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

რის დასადასტურებლადაც რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას და თავიანთი ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია ქ. მოსკოვში, 1948 წლის 6 აპრილს ორ ცალად, თვითეული რუსულ და ფინურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის რწმუნებით
ვ. მოლოტოვი

ფინეთის რესპუბლიკის
პრეზიდენტის რწმუნებით
მაუნო პეკალა

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონებო!

საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რაც ხელმოწერილია დღეს, დიდმნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განვითარებაში. ეს ხელშეკრულება მიმართულია გერმანიის აგრესიის განმეორების წინააღმდეგ და ემსახურება ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხელშეკრულების დადება მომწიფებული საქმეა. ამის შესაბამისად საბჭოთა მთავრობის მეთაურის ი. ბ. სტალინის ცნობილ წერილში ფინეთის პრეზიდენტ ბ-ნ პაასიკივისადმი გამოთქმული იყო სურვილი „შეიქმნას პირობები ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ძირეული გაუმჯობესებისათვის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების მიზნით".

ამასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელ დღეებში სწარმოებდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება ხელშეკრულების დასადებად, ამასთან ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ფინეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტი. საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკების მსვლელობაში შეტანილ იქნა აგრეთვე აუცილებელი დაზუსტებანი და დამატებანი, როგორც ეს შეესაბამებოდა ორივე მხარის წინადადებებს.

საბჭოთა მთავრობა რწმენას გამოსთქვამს, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ფინეთის ფართო და მეგობრულ თანამშრომლობას, და რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერას კმაყოფილებით შეხვდებიან არა მარტო ჩვენი სახელმწიფოების ხალხები, არამედ მშვიდობისა და პროგრესის ყველა მეგობრებიც.

ცოცხლობდეს და განმტკიცდეს სსრ კავშირისა და ფინეთის ხალხების კავშირი და მეგობრობა!

ნება მიბოძეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მოგილოცოთ თქვენ და მთელ ფინეთის მთავრობის დელეგაციას ხელმოწერა ხელშეკრულებისა, რომელიც ახალ საფუძველს უქმნის საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობას.

ბ-ნ პეკალას სიტყვა

ბატონო გენერალისიმუსო, ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო, ბატონო მინისტრებო, ბატონებო!

დღეს ჩვენ ხელი მოვაწერეთ დიდმნიშვნელოვან ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის. საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ეს ხელშეკრულება ორივე ქვეყნისათვის მრავალმნიშვნელოვან აქტს წარმოადგენს. იგი ასახავს იმ საგარეო პოლიტიკის დიდ მიღწევას, რომელიც ემყარება ომისშემდგომ მეგობრობას საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის.

ფინეთის დელეგაცია მადლობას მოახსენებს საბჭოთა კავშირის დელეგაციას და მის თავმჯდომარეს საგარეო საქმეთა მინისტრ მოლოტოვს მოლაპარაკების დროს ჩვენი ქვეყნისა და მისი მთავრობისადმი კეთილმოსურნე დამოკიდებულებისათვის, რის მეოხებითაც შესაძლებელი გახდა იმ შედეგების მიღწევა, რომლებიც შეესაბამებიან ჩვენს განსაკუთრებულ პირობებს და აკმაყოფილებენ ორივე მხარეს, რაც ნათელი გახდა პირველსავე თათბირზე. დაე ამ ხელშეკრულებამ ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებასა და განმტკიცებას.

ფინეთის დელეგაციამ იცის და კარგად ახსოვს გენერალისიმუს სტალინის მეგობრული სიტყვები, რომლებიც მან პირველად 1917 წელს სთქვა ფინეთის შესახებ და რომლებიც სამუდამოდ დარჩა ფინელი ხალხის კეთილ ხსოვნაში. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავთ ჩვენთვის სასიხარულო იმ ფაქტს, რომ გენერალისიმუსმა სტალინმა ისურვა პირადი დასწრებით ხაზი გაესვა აქ ხელმოწერილი აქტის მნიშვნელობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" შექმნის შესახებ

იმ მიზნით, რომ ტყის გაშენების, აღდგენისა და დაცვის, აგრეთვე ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და მუშათა დაბების გამწვანების საქმეში ჩაბმულ იქნან მოსახლეობის ფართო ფენები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს: შეიქმნას სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობარი", რომლის ამოცანაც იქნება ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენებისა და დაცვისათვის ხელის შეწყობა.

ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" მიზანია მონაწილეობა მიიღოს ტყის გაშენებასა და დაცვაში, შეჰქმნას უტყეო და მცირე ტყიან რაიონებში, აგრეთვე მიწათმოქმედებისათვის უვარგის მიწებზე მთლიანი ტყის ნარგავები, ჩაატაროს გზების, სარწყავი არხების, ეზოებისა და კარმიდამოს, საქართველოს სსრ მუშათა დაბების, რაიონული ცენტრებისა და ქალაქების გამწვანება.

დამტკიცებულია სრულიად საქართველოს საზოგადოება „ტყის მეგობრის" საორგანიზაციო ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ვ. გოგუა (თავმჯდომარე), კ. ციმაკურიძე, ს. ჭელიძე, ნ. კეცხოველი, ვ. გულისაშვილი, ე. ჩერქეზია, ვ. კუპრაძე, მ. ჯაში, ა. გიორგაძე, გ. ალავიძე, ი. ზოდელავა, ვ. ხატიაშვილი, ბ. ნანიტაშვილი და ნ. პავჩინსკი.

აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს წინადადება მიეცათ 1948 წლის 1 მაისამდე შექმნან ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" რესპუბლიკური (ავტონომიურ რესპუბლიკებში), საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო (სოფლის საბჭოებთან) და საწარმო-დაწესებულებათა საორგანიზაციო კომიტეტები 3-5 კაცის შემადგენლობით.

სრულიად საქართველოს საზოგადოება „ტყის მეგობრის" საორგანიზაციო ბიუროს და ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს დაევალათ საზოგადოების წესდების შესაბამისად 1948 წლის მაისისა და ივნისის განმავლობაში ჩამოაყალიბონ პირველადი ორგანიზაციები დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სასწავლებლებში, საწარმოებში, სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებში, ჩაატარონ საზოგადოების წევრთა საერთო კრებები, რომლებზეც აირჩიონ საზოგადოების კომიტეტები, სარევიზიო კომისიები და რაიონულ და საქალაქო კონფერენციათა დელეგატები; 1-დან 20 ივლისამდე ჩაატარონ რაიონული და საქალაქო კონფერენციები, სათანადო კომიტეტებისა და სარევიზიო კომისიების არჩევნები, აგრეთვე საზოგადოების სრულიად საქართველოს ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

საზოგადოების სრულიად საქართველოს ყრილობა დანიშნულია 1948 წლის 10 აგვისტოსათვის.

იმ მიზნით, რომ ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში მასობრივად იქნან ჩაბმულნი კოლმეურნეები, მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლეები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საჭიროდ არის ცნობილი ყოველწლიურად „ტყის დღის" ჩატარება.

წინადადება მიეცათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ორგანიზაციულ მუშაობას ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" შესაქმნელად და ფართოდ განუმარტონ მოსახლეობას იმ საზოგადოების მიზნები და ამოცანები.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. აბრეშუმსაქსოვი მანქანების ამწყობ საამქრო. მანქანების აწყობის ხარისხს ამოწმებენ მაღალკვალიფიციური ამწყობები—შ. მაისურაძე, გ. აზანტოვი და ი. ჩერტოვი.

ფოტო ვ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა.

თბილისის მრეწველობის 1948 წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგები

შეჯამებულია თბილისის მრეწველობის 1948 წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგები.

საერთო პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა სახელმწიფო მრეწველობის საწარმოებმა შეასრულეს 101 პროცენტით. გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით წარმოების ზრდა გამოიხატება 16,1 პროცენტით.

კვარტალური გეგმა თბილისის საწარმოებმა შეასრულეს: საშენ-მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 111,9 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობისა — 110,3 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობისა — 110 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობისა — 105,9 პროცენტით, სოციალური უზრუნველყოფისა — 105,8 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტისა — 104,8 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვისა — 101,2 პროცენტით, სატყეო მრეწველობისა — 100,3 პროცენტით, საგემოვნო მრეწველობისა — 100,1 პროცენტით.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა კვარტალური გეგმა 97,4 პროცენტით შეასრულეს.

კვარტალი წარმატებით დაამთავრეს პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოებმა, რომლებმაც გეგმა 108,8 პროცენტით შეასრულეს, და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოებმა, რომლებმაც გეგმა გაანაღდეს 101,6 პროცენტით.

სარეწაო კოოპერაციის არტელებმა კვარტალური გეგმა 94,1 პროცენტით, ხოლო ინვალიდთა კოოპერაციის არტელებმა—101,2 პროცენტით შეასრულეს.

თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, მონაწილეობენ რა გაჩაღებულ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, იბრძვიან პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ვალდებულება უსათუოდ უნდა სრულდებოდეს

ლენინგრადელთა პატრიოტულ თაოსნობას ჭიათურელი მაღაროელები მხურვალედ გამოეხმაურნენ. ყველა მაღაროს კოლექტივმა იკისრა ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება. გაჩაღდა შეჯიბრება ცალკეულ მაღაროთა შორის. გასული წლის გეგმა მარგანეცის მრეწველობამ 102,8 პროცენტით შეასრულა, მაგრამ ვალდებულება მაინც ვერ გაანაღდა. ვალდებულების მიხედვით გეგმა 7 ნოემბრისათვის უნდა შესრულებულიყო, სინამდვილეში კი მხოლოდ 23 დეკემბრისათვის შესრულდა. ეს, რასაკვირველია, ცუდი მაჩვენებელი არაა, მაგრამ არც დიდი წარმატებაა. ერთი კვირით ადრე წლიური გეგმის შესრულება როდი უზრუნველჰყოფს ხუთწლედის ოთხ წელიწადში განაღდებას. ხუთწლედი ოთხ წელიწადში რომ შევასრულოთ, წლიური გეგმა 120-125 პროცენტით უნდა სრულდებოდეს. მიმდინარე წელს მაღაროებმა წლიური გეგმის 105 პროცენტით შესრულება იკისრეს, ხოლო ბერიას სახელობის მაღარომ—მხოლოდ 103 პროცენტით.

უფრო დამაფიქრებელი ის არის, რომ წელს მაღაროები ამ შემცირებულ ვალდებულებასაც ვერ ანაღდებენ. მარგანეცის ტრესტმა პირველ კვარტალში ქვეყანას დააკლო 7.850 ტონა მარგანეცი. კვარტალური გეგმა შეასრულეს მხოლოდ ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებმა. ყველაზე მეტად ჩამორჩნენ კაგანოვიჩისა და ბერიას სახელობის მაღაროები, რომლებმაც გასული წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით კიდევაც შეამცირეს მარგანეცის გამოღება და სასაქონლო პროდუქციის დამზადება. პირველი კვარტალი დანაკლისით დაამთავრეს აგრეთვე სტალინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროებმა. არც აპრილის პირველი დღეების გეგმები სრულდება ყველა მაღაროში.

ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზია სოციალისტური შეჯიბრებისადმი არაკონკრეტული ხელმძღვანელობა. მაგალითად, შარშან გადაწყდა მაღაროებში შემოღებული ყოფილიყო სტახანოვური განრიგით მუშაობა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ შრომის ნაყოფიერების ზრდის ეს საუკეთესო საშუალება თითქმის დავიწყებას მიეცა.

მეორე მაგალითი. ჭიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელთა შორის გაჩაღებული იყო სოციალისტური შეჯიბრება. ხდებოდა დელეგაციათა ურთიერთ გაგზავნა, გამოცდილების გაზიარება, გეგმის შესრულების შედეგებზე მიმოწერა. მარგანეცის ამ ორი საბადოს მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება არა მარტო ურთიერთმეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას უწყობდა ხელს, არამედ იგი მარგანეცის გამოღების გადიდების მძლავრი საშუალებაც იყო. მაგრამ გასულ წელს ეს საქმეც დაივიწყეს.

ახლა ჭიათურაში საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება იწყება. მაღაროები, უბნები, ცვლები ახალ საწარმოო ვალდებულებებს კისრულობენ. სტახანოველები სადღესასწაულო ვახტზე დგებიან. მაგრამ მარტო ვალდებულების აღება არ კმარა. მუშაობის ის ტემპი, რომლითაც ახლა ჭიათურის მაღაროები მუშაობენ, ვერ უზრუნველჰყოფს ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებას. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ ნაკისრი ვალდებულება აუცილებლად უნდა შესრულდეს.

პ. ჭიოკაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გავაუმჯობესოთ აგურის გამოწვის ტექნოლოგია

უკვე მოახლოვდა მშენებელთათვის წლის ყველაზე დაძაბული მუშაობის სეზონი. ახლა მოთხოვნილება ისეთ ძირითად საშენ მასალებზე, როგორიცაა აგური, კრამიტი, გაჯი, კირი და ა. შ., ბევრად გაიზრდება. აგურზე მოთხოვნილება თბილისში ყოველთვისაა, მაგრამ ამ მოთხოვნილებას თბილისის აგურის ქარხნები, განსაკუთრებით ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ყოველთვის წარმატებით როდი აკმაყოფილებენ. თბილისის ქარხნების მიერ გამოშვებული აგური ხშირად გაბზარულია, დეფორმირებული. ხშირად აგური ან ზედმეტად გადამწვარია, ან გამოუმწვარი, ზოგჯერ სტანდარტულ ზომაზეც ნაკლებია.

აგურის ხარისხზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოწვის რეჟიმის დაცვას. საჭიროა, რათა აგურის გამოსაწვავ ღუმელში ქვანახშირის ჩაყრა ხდებოდეს ყოველ 3-4 წუთში სისტემატურად 300-400 გრამის რაოდენობით. გამოწვის ტექნოლოგიის ეს მთავარი პირობა თითქმის ყველგან ირღვევა და ცეცხლფარეშები ნახშირს ჰყრიან ღუმელში 1-2 საათის ხანგამოშვებით და ნებისმიერი რაოდენობით. ეს აფერხებს ცეცხლის ალის სიძლიერეს, საწვავი უფრო მეტი რაოდენობით იხარჯება, ცეცხლი ღუმელის ყველა საკანს ვერ სწვდება, ყველა ნედლ აგურს ვერ მოიცავს და ამის შედეგად ვიღებთ დაბალი ხარისხის პროდუქციას.

ჰოფმანის სისტემის ღუმელში, თუნდაც იგი 22 საკანისაგან შესდგებოდეს, არ უნდა დავტოვოთ ცარიელი 2 საკანზე მეტი. ზოგან კი ხშირად ცარიელს სტოვებენ 5-6 საკანს. ეს ერთი მხრივ ამცირებს აგურის გამოშვებას, მეორე მხრივ ცარიელი საკანი ფუჭად ნთქავს სითბოს, რის გამოც იზრდება აგურის თვითღირებულება.

აგურის ხარისხის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვა. საამისოდ კი საჭიროა კვალიფიციური კადრები — ცეცხლფარეშები, ღუმელში აგურის ჩამწყობები, მეყალიბეები. ამისათვის უახლოეს დროში ყველა ქარხანასთან უნდა მოეწყოს მოკლევადიანი კურსები ცეცხლფარეშების, ჩამწყობებისა და მეყალიბეების მოსამზადებლად. ეს გადაუდებელი ამოცანაა, მის მოგვარებაზე ბევრადაა დამოკიდებული აგურის ხარისხის გაუმჯობესების საქმე.

ჟ. ლომია
ინჟინერ ტექნოლოგი

გამოცდილების ტრიბუნა

სიმინდის უხვი მოსავლისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა გერონტი ბესარიონის-ძე ჯაბუას — მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 83,02 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

რა საშუალებებს იყენებს ამხ. გ. ჯაბუა სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის? — უპირველეს ყოვლისა, განაცხადა ამხ. ჯაბუამ, — ჩვენ ვზრუნავთ თესლზე. გამოცდილებით ვიცით, რომ აქაურ მიწაზე ყველაზე მეტსა და უკეთესი ხარისხის მოსავალს იძლევა ადგილობრივი თეთრი სიმინდი, რომელიც, მართალია, შედარებით გვიან შემოდის, მაგრამ სინესტეს უფრო იტანს და ხშირად 2-3 მსხვილ ტაროს იკეთებს, რომლებზეც მარცვალიც დიდი მოცულობისაა. ბრიგადა თესლზე ზრუნავს მოსავლის აღების დროიდანვე. ამ დროს ვარჩევთ ყველაზე მსხვილ (16-18 მწკრივიან) საღ და დაუზიანებელ ტაროებს, რომლებსაც ცალკე ვინახავთ სასიმინდეში. ამასთანავე ვზრუნავთ იმისათვის, რომ შენახვის პერიოდში მარცვლეული არ დაობდეს, ან მავნებლებმა არ დააზიანოს. სიმინდს ვფშვნით კარგად გაშრობისა და გახმობის შემდეგ იმგვარად, რომ თესლად გამოყენებულ იქნას ტაროს შუა წელის უფრო განვითარებული და ნორმალური მარცვლები, თავისა და ბოლოს მარცვლებს კი საფურაჟედ ვიყენებთ. თესლად გამოყოფილ მასალას კარგად ვარჩევთ და ვახარისხებთ, რომ მასში არ გაერიოს დამპალი, მექანიკურად დაზიანებული ან განუვითარებელი მარცვალი. ამის შემდეგ თესლს ვამოწმებთ ლაბორატორიაში და ვიღებთ მისი ვარგისიანობის დამადასტურებელ საბუთს.

მიწის მომზადებაზეც წინასწარ ვზრუნავთ. ადგილის დაჭაობების თავიდან ასაშორებლად შემოდგომაზე ან ზამთარში ვაკეთებთ ადგილის დაქანების მიმართულებით თითო მეტრის სიღრმის თხრილებს ერთმანეთისაგან 25-30 მეტრის დაშორებით. ამ თხრილებს ვუკეთებთ გვერდითი შტოებსაც, — 40-50 სანტიმეტრის სიღრმის თხრილებს. ნაკვეთს ვხნავთ ერთ კვალად ზამთრის თვეებშივე ან ადრე გაზაფხულზე 20 სანტიმეტრის სიღრმეზე. ეს ხელს უწყობს მიწის დაშლა-გაფხვიერებას, საკვები ნივთიერებებით გამდიდრებას და მავნებლების მოსპობას. მოხვნის შემდეგ თხრილებიდან ჩაცვენილ მიწას დაუყოვნებლივ ვიღებთ.

მარტში ნაკვეთს დასათესად მომზადების მიზნით ვხნავთ მეორედ, პირველად მოხნულის გარდიგარდმო, მაგრამ უფრო ზერელედ, 14 სანტიმეტრის სიღრმეზე.

თესვას ვიწყებთ 10 აპრილიდან (ზოგჯერ უფრო ადრეც) და ვამთავრებთ მოკლე დროში (არა უგვიანეს 1 მაისისა). თესლს ვთესავთ წინასწარ შეწამლვის შემდეგ, მობნევით, ჰექტარზე 50 კილოგრამს და მიწას მაშინვე ვხნავთ 12 სანტიმეტრის სიღრმეზე, შემდეგ კი ორმაგად ვფარცხავთ ისე, რომ კარგად გაფხვიერდეს და გასწორდეს. თესვის დამთავრების შემდეგ როგორც მთავარ, ისე გვერდითს საწრეტ არხებს საბოლოოდ ვასუფთავებთ, ვწმენდთ ჩაყრილი მიწისაგან, ამასთანავე ნაკვეთებიდან გაგვაქვს, თუ აქა-იქ დარჩენილია, მცენარეთა ძირები.

ნათესებს პირველად ვთოხნით 3-4 ფოთლის გამოღებისას მიწის შემოუყრელად, მაგრამ ისე, რომ ნიადაგი კარგად გაფხვიერდეს და დაიშალოს. თოხნისას მხედველობაში ვიღებთ იმას, რომ საბოლოოდ თვითეულ ჰექტარზე უნდა დარჩეს 20-22 ათასი ძირი სიმინდი, ესე იგი ყოველ 70 სანტიმეტრზე თითო ძირი. ამ მიზნით პირველი თოხნისას, დაზღვევის მიზნით, ნაკვეთზე ვტოვებთ 30 პროცენტით მეტ ჯანსაღ და ღონიერ მცენარეებს, ვიდრე საჭიროა.

პირველი გათოხნიდან 15 დღის შემდეგ ნათესს მეორედ ვთოხნით. ამ დროს ნაკვეთზე ნორმალურ რაოდენობაზე მხოლოდ 10-15 პროცენტით მეტ მცენარეს ვტოვებთ და მიწასაც ვაყრით. მესამე თოხნას ვატარებთ მეორე გათოხნიდან 20 დღის შემდეგ. ამ დროს ნაკვეთზე ვჭრით ყველა ზედმეტ სიმინდს, დარჩენილებს კი კვლავ ვაყრით მიწას. ფოჩის ამოღების წინ ნათესებს მეოთხედ ვთოხნით. თუ ამის შემდეგაც ბალახი ამოვა, მას ხელით ვთხრით.

როგორ არის ბრიგადაში მოწყობილი შრომა? — ყველა რგოლს ჩაბარებული აქვს განსაზღვრული რაოდენობის ნაკვეთი. რგოლშიც თვითეულ კოლმეურნეს, მისი უნარის და შეძლების მიხედვით, დასამუშავებლად და მოსავლელად მიჩენილი აქვს 0,6-0,7 ჰექტარი მიწა. შედგენილია სამუშაო გეგმა, ყველა კოლმეურნემ წინასწარ იცის, როდის და რა უნდა გააკეთოს. რგოლების ხელმძღვანელებად შერჩეული არიან გამოცდილი, გულისხმიერი კოლმეურნეები. რგოლების შემადგენლობა არ იცვლება მინდვრის სამუშაოთა განმავლობაში. ისინი თავიანთ შემადგენლობას ინარჩუნებენ მომავალი წლებისთვისაც (ყოველწლიურად შემოდგომაზე ან გაზაფხულზე ხდება რგოლების შემადგენლობის გადასინჯვა მხოლოდ იმისათვის, რომ, თუ წარმოების ინტერესები მოითხოვს, შეივსოს რგოლი ან გადაყვანილ იქნას ესა თუ ის კოლმეურნე სხვა რგოლში).

როგორც მთლიანად კოლმეურნეობის ბრიგადებს შორის, ისე ცალკეულ რგოლებსა და კოლმეურნეთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ბრიგადა არაფერს იშურებს იმისათვის, რომ მაღალნაყოფიერად გამოიყენოს თავისი ძალები, წარმატებით სრულდებოდეს როგორც უშუალოდ ბრიგადაზე მიმაგრებული, ისე შიგნით რგოლებისათვის მიჩენილი კულტურების ყველა სამუშაო.

პარტიამ, ხელისუფლებამ, დიდმა სტალინმა, — განაცხადა დასასრულ ამხ. ჯაბუამ, — ჩვენს მუშაობას მაღალი შეფასება მისცა, მომანიჭა სოციალისტური შრომის გმირობა. ეს მე ახალი წარმატებებისათვის აღმაფრთოვანებს. ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი წელს მოვიყვანო ყველა კულტურის შარშანდელზე ბევრად მეტი მოსავალი, აქედან, სიმინდი თვითეულ ჰექტარზე—85 ცენტნერი.

* * *

ამჟამად გ. ჯაბუას ბრიგადაში ზამთრის ყველა სამუშაო დიდი ხანია დამთავრებულია. მთლიანად გაწმენდილია სასიმინდე ფართობები, გაყვანილია არხები. ბრიგადის წევრებს წელს გადაწყვეტილი აქვთ ყოველ ჰექტარზე 6.200 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მიღება. ამ მიზნით ბრიგადაში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება.

ტ. თოდრაძე
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

აპრილის პირველ ხუთდღიურში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა საგაზაფხულოდ მოხნეს 9.178 ჰექტარი. სულ 5 აპრილისათვის რესპუბლიკაში საგაზაფხულოდ მოხნულია 120.579 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 37,6 პროცენტით.

საგაზაფხულო ხვნის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული 7 რაიონში, მათ შორის მარნეულსა და გარდაბანში.

აფხაზეთმა ხვნის გეგმა 56,3 პროცენტით შეასრულა, აჭარამ—3,8, სამხრეთ ოსეთმა—6,6, მცხეთის რაიონმა—92,8, ლაგოდეხის—91,2, ბოლნისის — 86,2, გურჯაანის—84,5, სიღნაღის — 71,7, ახმეტის—64,4, საგარეჯოს — 65,3, დმანისის—1,4, თეთრი წყაროს — 42,3, დუშეთის—27, ბორჯომის—1,8, კასპის—52,9, გორის—38,4, ქარელის — 24,6, ხაშურის—31,5, ასპინძის — 5,6, ადიგენის—3,6, ქლუხორის — 4,3, საჩხერის—1,8, ჭიათურის — 0,6, ზესტაფონის—7,7, მაიაკოვსკის — 45, ვანის—59,6, წულუკიძის — 75,3, სამტრედიის—54,3, წყალტუბოს — 50,9, ქუთაისის—62,6, ჩოხატაურის — 39,2, ლანჩხუთის—26,8, მახარაძის — 43,2, ჩხოროწყუს—43,8, წალენჯიხის—83,7, ხობის—43,9, ზუგდიდის—58,6, გეგეჭკორის—45,9, ცხაკაიას—30,3, აბაშის რაიონში—66,4 პროცენტით. ფოთმა გეგმა 71,4 პროცენტით შეასრულა.

5 აპრილისათვის კოლმეურნეობებში დათესილია 28.847 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 14,3 პროცენტით, მზესუმზირისა — 73,9, კარტოფილის—5,3, ბოსტნეულისა — 16, მრავალწლიანი ბალახებისა—12, ერთწლიანისა—2,2 პროცენტით.

საგაზაფხულო კულტურების თესვაში წინ არის თბილისის რაიონი, რომელმაც გეგმა შეასრულა 59,7 პროცენტით. სიღნაღის რაიონში დავალება შესრულებულია 40,6 პროცენტით, კაჭრეთის—36,8, საგარეჯოს — 35,1, წითელწყაროს—32,3, გარდაბნის — 30, ბოლნისის—9,1, მარნეულის — 6,4, მცხეთის—12,9, ლაგოდეხის — 11,3, ყვარლის—23,2, ახმეტის — 13,6, თელავის—11,3, გურჯაანის — 17,8, თეთრი წყაროს—14, დუშეთის — 5,6, ბორჯომის—0,6, კასპის — 14,9, გორის—6,4, ქარელის—4, ხაშურის—2,4, ასპინძის—3,4, ქლუხორის — 3,4, საჩხერის—0,4, მაიაკოვსკის — 2, ვანის—0,9, ქუთაისის—2,4, მახარაძის რაიონში—0,1 პროცენტით.

პურეულის თესვის დავალება სამხრეთ ოსეთში შესრულებულია 8,3 პროცენტით, საგარეჯოს რაიონში — 89,4, ახმეტის—96,1, თელავის — 94,3, კაჭრეთის—93,2, თეთრი წყაროს — 15,7, დუშეთის—18,3, ბორჯომის — 1,5, კასპის—64,5, გორის — 39,6, ქარელის—46,8, ხაშურის — 53, ასპინძის—5,7, ქლუხორის — 4,9, საჩხერის —4 პროცენტით.

მზესუმზირას თესვის გეგმა შეუსრულებელია თეთრი წყაროს, გურჯაანის, კაჭრეთის, სიღნაღის, წითელწყაროს, თბილისისა და საგარეჯოს რაიონებში.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

მივცეთ სამშობლოს მეტი ქვანახშირი

გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის" 16 მარტის ნომერში დაიბეჭდა სტალინის სახელობის შახტის მნგრეველის დავით სუქნიძის წერილი. სტახანოველი მეშახტე აყენებდა საკითხს მნგრეველთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ამ წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ტყიბულელ მეშახტეთა შორის. მნგრეველები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და დღითიდღე ზრდიან შრომის ნაყოფიერებას.

გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი" ეხმაურება შახტებში გაშლილ პატრიოტულ მოძრაობას და სისტემატურად ბეჭდავს ნაკრებ მასალებს შეჯიბრებაში დაწინაურებულების, მათ შორის შეჯიბრების ინიციატორის ამხ. დ. სუქნიძის საწარმოო წარმატებათა შესახებ. გაზეთის 27 მარტის ნომერში დაბეჭდილია მასალები სათაურით „ვინ იქნება უკეთესი მნგრეველი ტყიბულში?".

„სტალინის სახელობის შახტის პირველი უბნის სტახანოველმა მნგრეველმა დავით სუქნიძემ,—სწერს გაზეთი,—20 მარტს 275 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის მონგრევის გეგმა. 20 მარტიდან 24 მარტამდე, ე. ი. 4 დღეში მან გამოიმუშავა ათი დღიური ნორმა.

ლენინის სახელობის შახტის მეექვსე უბნის ახალგაზრდა მნგრეველი ლევან დალუნდარიძე სისტემატურად ორ-ორ ნორმას ასრულებს ცვლაში. 18 მარტს მან დავალება შეასრულა 204 პროცენტით, 22 მარტს 204,2 პროცენტით.

სტალინის სახელობის შახტის ახალგაზრდა მნგრეველმა ალექსანდრე ყიფშიძემ 22 მარტს 270 პროცენტით შეასრულა დღიური ნორმა, ხოლო 23 მარტს—210 პროცენტით".

სტალინის სახელობის შახტის მეორე უბნის მნგრეველების ა. ბაკურაძისა და ლ. არსენიძის წერილებში მოთხრობილია, თუ რა არის საჭირო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

სტალინის სახელობის შახტის მეხუთე უბნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. მოსეშვილი მკითხველებს მოუთხრობს, თუ რა მუშაობას ეწევა უბნის პარტიული ორგანიზაცია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

სასოფლო საბჭო და ზრუნვა სოფლის კეთილმოწყობისათვის

სასოფლო საბჭოს დეპუტატები მრავალი საინტერესო საქმის ინიციატორები არიან ადგილებზე. მათი აქტიური მონაწილეობით სასოფლო საბჭოები წარმატებით მუშაობენ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მაღალ დონეზე ჩასატარებლად და სოფლების კეთილმოწყობისათვის.

გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" 24 მარტის ნომერში მოთავსებულია ოჩამჩირის რაიონის ახალდაბის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ე. ახვლედიანის წერილი. მასში მოთხრობილია, თუ რა მუშაობას ეწევიან სასოფლო საბჭო და მისი დეპუტატები ამ დღეებში. სოფლის კეთილმოწყობის საკითხებს სასოფლო საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. სოფელს კლუბი არ ჰქონდა. ეს საკითხი სასოფლო საბჭოს მსჯელობის საგანი გახდა. გადაწყდა კლუბის დაარსება. გამოინახა შესაფერი შენობა. შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი და მალე კლუბიც ამუშავდა. ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან [illegible]. კოლმეურნეთათვის სისტემატურად ეწყობა საღამო-წარმოდგენები. დეპუტატ ღ. შარიას წინადადებით სოფელში შენდება წისქვილი.

„სოფლის აქტივის ინიციატივით, — ვკითხულობთ წერილში,—დაიწყო წყალსადენის მშენებლობა. მუშაობა უკვე დასასრულს უახლოვდება. მალე სოფელი უზრუნველყოფილი იქნება სუფთა სასმელი წყლითა და აბანოთი. აბანოსათვის უკვე მზად არის შენობა ყველა საჭირო ინვენტარით.

მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველვყოფთ მდინარე კოდორზე 100-ცხენისძალიანი ჰიდროელსადგურის აშენებას, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს სოფელ ახალდაბის მოსახლეობისა და ნაწილობრივ აძიუბჟის ბერიას სახელობისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა მოთხოვნილებებს.

ელექტროსადგურის აგება ახალდაბელებს შესაძლებლობას მისცემს მოაწყონ სახერხი და აგურ-კრამიტის ქარხნები, რაც დიდ შემოსავალს მოუტანს ახალდაბის კოლმეურნეობას".

ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესებისათვის

პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი — კლუბები, ბიბლიოთეკები, ქოხ-სამკითხველოები, კულტურის სახლები მასობრივ-კულტურული მუშაობის ცენტრებს წარმოადგენენ.

გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი" 26 მარტს სპეციალურ განყოფილებას მიუძღვნის ბიბლიოთეკების მუშაობას. წერილში — „ერთი ბიბლიოთეკის აქტივი", რომელიც № 6 საქალაქო ბიბლიოთეკის მუშაობას ეხება, მოთხრობილია: ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან ქალაქის მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლეები, მასწავლებლები და დიასახლისები. მკითხველთათვის ხშირად ეწყობა ლექციები, კონსულტაციები და საუბრები. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები აქ ყოველთვის საჭირო ახსნა-განმარტებას იღებენ. ბელადების ბიოგრაფიების შემსწავლელთა დასახმარებლად ბიბლიოთეკაში მოწყობილია სპეციალური განყოფილება, სადაც წარმოდგენილია წიგნები, ბროშურები, ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები. ბიბლიოთეკის მომუშავენი კარგად იცნობენ მკითხველებს, მათ მოთხოვნილებებს.

„ახალი ლიტერატურის შეძენისას,—ვკითხულობთ წერილში, — გათვალისწინებულია მკითხველთა მოთხოვნილებანი. ყველა მკითხველმა იცის, თუ რა წიგნები აქვს ბიბლიოთეკას. თუ აქტივისტს დასჭირდა ისეთი ლიტერატურა, რომელიც ბიბლიოთეკას არა აქვს, ბიბლიოთეკარები მეზობელ ბიბლიოთეკას მიმართავენ დახმარებისათვის".

მეორე წერილში „ნორჩ მკითხველთა შორის" გაშუქებულია № 1 საბავშვო ბიბლიოთეკის საქმიანობა. მას 1.231 მკითხველი ჰყავს. ბიბლიოთეკაში დაგროვილია 13 ათასი საბავშვო წიგნი და 29 სახელწოდების ჟურნალ-გაზეთი. აქ ბავშვები ყოველთვის პოულობენ მათთვის საინტერესო ლიტერატურას, იღებენ რჩევა-დარიგებას. მოქმედებს ბიბლიოთეკის მეგობართა წრე, რომელშიც 15 აქტივისტია გაერთიანებული, ისინი ზრუნავენ იმისათვის, რომ თავიანთ ბიბლიოთეკაში წიგნები და ჟურნალ-გაზეთები მუდამ წესიერ მდგომარეობაში იყოს. აქვე გამოდის კედლის გაზეთი „ნორჩი მკითხველი", რომელიც ბავშვთა ძალებით კეთდება.

ჩვენ გვწერენ

ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საქმის უკეთესად დაყენებისათვის

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის ისტორიულმა დადგენილებამ ვ. მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის" შესახებ ჩვენი ნორჩი თაობის მუსიკალური აღზრდის ფრონტზე მომუშავე პედაგოგებსაც დიდი მოვალეობა დაგვაკისრა. ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, მართლაც რა დიდი ზიანი მოაქვს განსაკუთრებით ახალგაზრდა მუსიკალური კადრების აღზრდისათვის ჩვენს საბჭოთა მუსიკაში შემორჩენილ უცხო, ანტიხალხურ, ფორმალისტურ განწყობილებას. მუსიკალური სკოლების პედაგოგები მოვალენი ვართ სერიოზულად მოვეკიდოთ ჩვენი სასწავლო გეგმებისა და რეპერტუარის შედგენის საქმეს.

მუსიკას ქართველი ხალხის ცხოვრებაში მუდამ დიდი ადგილი ეკავა და ამიტომაც ქართული ხალხური მუსიკალური კულტურა ყოველთვის მაღალ საფეხურზე იდგა. ამით აიხსნება, რომ ჯერ კიდევ 1874 წელს ს. სავანელმა — ქართული ხალხური მუსიკის ამ შესანიშნავმა პოპულარიზატორმა — თბილისში დააარსა პირველი მუსიკალური სკოლა, რომლის ბაზაზეც შეიქმნა და აღმოცენდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

ახლა საქართველოში მრავალი მუსიკალური სკოლა ან სასწავლებელი გვაქვს. ამ სკოლებში იზრდებიან ჩვენი მუსიკის ახალი კადრები. ამ წერილში, როგორც პედაგოგს, მინდა შევჩერდე იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი აქვს მუსიკალური სკოლების საფორტეპიანო განყოფილებებზე.

ცნობილია, რომ პირველ მუსიკალურ ინტონაციებს უაღრესად დიდი გავლენა აქვთ ბავშვის მუსიკალური უნარის ფორმირებისათვის. ამიტომაა, რომ მოწინავე პედაგოგები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვისათვის სათანადო მუსიკალური მასალის შერჩევას. მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალურ-პედაგოგიური ლაბორატორიის თანამშრომელთა კოლექტივმა 1940 წელს შეადგინა და გამოუშვა „ერთობ იოლ პიესათა კრებული", რომელიც, ჩემი აზრით, წარმოადგენს ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საუკეთესო მასალას. ეს პიესები დაწერილია რუსული ხალხური სიმღერების ინტონაციებზე.

ანალოგიური კრებული გამოცემულია ლენინგრადშიც.

საჭიროდ მიმაჩნია ასეთივე კრებული, მაგრამ დამუშავებული ქართულ ინტონაციებზე, გამოცემულ იქნას საქართველოს მუსიკალური სკოლებისთვისაც. აუცილებლად საჭიროა ეს საქმე რაც შეიძლება დაჩქარებით მოგვარდეს. ჩვენი მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა 95 პროცენტს ქართველი ბავშვები შეადგენენ. მათ ჩვენ ვასწავლით გაუგებარ ინტონაციებზე შედგენილ პიესებს და ბუნებრივია, რომ მიღებული შედეგები არ შეეფერება პედაგოგების მიერ გაწეულ დიდ შრომას. მუსიკის სწავლების პირველ ეტაპზე ბავშვისათვის მთავარია სმენის განვითარება. ამ მხრივაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვის სმენა განვავითაროთ დედის ძუძუსთან ერთად შეთვისებული ინტონაციების საფუძველზე. საუკეთესო მასალას ამ მხრივ წარმოადგენს ნაწყვეტები ხალხური სიმღერებიდან.

მუსიკალური სკოლების პედაგოგებმა უნდა ითავონ ადვილად დასაძლევი, მაგრამ მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმის გაკეთება: შეადგინონ საფორტეპიანო პიესათა კრებული ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებთაგან და გულდასმით შეარჩიონ ამ კრებულში შესატანად ქართული ნაციონალური მელოდიები. მივცეთ ჩვენს ბავშვებს მუსიკალური განვითარების პირველი ნაბიჯებისათვის შესაფერისი მასალა!

თამარ გაბაშვილი
თბილისის სახელმწიფო მუსიკალური სტუდიის საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი

იროდიონ ევდოშვილის რჩეული ლექსებისა და პოემების გამოცემის გამო

იროდიონ ევდოშვილი XX საუკუნის, საბჭოთა რევოლუციამდელი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო წარმომადგენელია. სახელგამმა უთუოდ კარგი საქმე გააკეთა იროდიონ ევდოშვილის თხზულებათა გამოცემით. წიგნი გამოვიდა შალვა რადიანის რედაქციითა და წინასიტყვაობით. ამავე ავტორის რედაქციითა და წინასიტყვაობით ევდოშვილის ნაწერების სრული კრებული პირველად გამოვიდა 1935-37 წლებში. შალვა რადიანს მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს გაწეული იროდიონ ევდოშვილის ნაწარმოებთა შეკრებისა და გამოცემისათვის. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება. პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში შალვა რადიანი იროდიონ ევდოშვილის შემოქმედების „მეორე პერიოდს" ამგვარად ახასიათებდა:

„ი. ევდოშვილმა ვერ შესძლო დაეძლია თავის წვრილ-ბურჟუაზიული სოციალური ბუნება და გადასულიყო რევოლუციური პროლეტარიატის პოზიციებზე...

1907 წელს — ამ პოლიტიკური და სოციალური რეაქციის დროს, როცა დენილი მუშათა კლასის მაჯისცემა ნაწილობრივ შესუსტდა, როცა სოროებში მიმალული ბნელი ძალები გამოძვრნენ დღის სინათლეზე და ყოველი მხრიდან იერიშები მიიტანეს მუშათა კლასზე — აი ამ დროს ვხედავთ ი. ევდოშვილს რევოლუციური საქმის **მტრების ბანაკში.** ეს გუშინ რევოლუციის თანამგზავრი, ეხლა **წინ მოუძღოდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ ინტელიგენციას...**

გარდა იმისა, რომ მეორე პერიოდში ი. ევდოშვილი უახლოვდება ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ ფენებს, ამავე დროს თავის შემოქმედებით იგი ხდება **ანტირევოლუციური ძალების საყვირად რევოლუციურ-მებრძოლ მასების წინააღმდეგ**"[1]) (ხაზი ჩვენია ს. ჭ.).

ახალი გამოცემის წინასიტყვაობაში ამხ. რადიანი სრულიად საწინააღმდეგო აზრს ავითარებს. იგი ჯერ ახასიათებს რეაქციის პერიოდის ქართულ მწერლობას: „ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი გასაქანი მიეცა დეკადენტობის ნაირსახეობებს. დეკადენტობა იყო პირდაპირი რეაქცია რეალისტური ლიტერატურის წინააღმდეგ. რეალისტების დემოკრატიზმს დეკადენტებმა დაუპირისპირეს „პოეტური არისტოკრატიზმი", რწმენას ცხოვრებისადმი, ოპტიმიზმს — პესიმიზმი, მისტიციზმი; ავადმყოფურმა სუბიექტივიზმმა, ნიცშეანური „ზეკაცის" იდეამ და ცხოვრების უგულველობის კულტმა დაიჭირა გაბატონებული მდგომარეობა რეაქციულ ლიტერატურულ წრეებში". ამის შემდეგ ამხ. რადიანი ასკვნის: მრავალი ქართველი მწერალი დეკადანსის გამომხატველმა ლიტერატურულმა მიმართულებამ ვერ ააცდინა რეალისტური მწერლობის გზას და მათი ლიტერატურული შემოქმედება პირველი რევოლუციის იდეების ზეგავლენით მიმდინარეობდა. „ი. ევდოშვილმა, — განაგრძობს იგი, — ამ წლებშიაც შეინარჩუნა მებრძოლი სულისკვეთება, იდეალი თავისუფალი ადამიანისა. იგი თავისი შემოქმედებით ამ პერიოდშიც უპირისპირდება ბურჟუაზიულ თვითმპყრობელურ სინამდვილეს, მიჰყვება ჰუმანიზმის გზას". და „თუ ამ ხანებში მის შემოქმედებაში **ნაღვლიანი კილო გაიელვებდა დროდადრო,** ამას თავისი საფუძველიც ჰქონდა. პოეტი ერთგან თავის ლექსში ლაპარაკობს, რომ თავისი ქვეყნის მძიმე, დამონებული მდგომარეობა მას მწუხარებით მსჭვალავსო; ამას ემატებოდა პირადი უბედურებაც". (გვ. 12).

როგორც ვხედავთ, პირველი და მეორე გამოცემის წინასიტყვაობის ზემომოყვანილი ამონაწერები სრულიად ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებებს შეიცავენ. რომელია მათ შორის მართალი? ჩვენი აზრით, არც ერთი.

იროდიონ ევდოშვილი, როგორც პოეტი, მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობასთან ერთად ჩამოყალიბდა და ამ კლასს გაჰყვა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. პოეტი თავისი ლექსებით, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე აღაგზნებდა მუშათა კლასს და მოუწოდებდა თვითმპყრობელობის დამხობისაკენ. 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში ევდოშვილის საბრძოლო ლექსებს მღეროდნენ ბარიკადებზე, კრებებზე, წარმოსთქვამდნენ ტრიბუნებზე. ზოგი მისი ლექსის ნაწყვეტები და ფრაზები რევოლუციურ საგიტაციო ფურცლებში შევიდა. მუშათა მოძრაობასთან უშუალო კავშირმა გამოარჩია იროდიონ ევდოშვილი მისი თაობის მწერალთა რიგებიდან და დიდებით შემოსა მისი სახელი. თუ არა მუშათა მოძრაობა, თუ არა 1905 წლის რევოლუცია, იროდიონ ევდოშვილი უმნიშვნელო პოეტად დარჩებოდა. მაგრამ იროდიონ ევდოშვილი მოღვაწეობდა არა მარტო მუშათა კლასის რევოლუციური აღმავლობის ხანაში, არა მარტო 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში, არამედ იგი სამწერლო მუშაობას ეწეოდა რეაქციის ეპოქაშიც.

იროდიონ ევდოშვილი არ ყოფილა თანმიმდევარი რევოლუციური განწყობილების პოეტი. ერთგვარი მერყეობა, წვრილბურჟუაზიული უიდეობა თან სდევს მის შემოქმედებას. ეს წვრილბურჟუაზიული უიდეობა, სევდის, გულგატეხილობის განწყობილებანი უფრო მკვეთრად გამოიხატა მის შემოქმედებაში რეაქციის წლებში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში ნათქვამია: „1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ რევოლუციის თანამგზავრთა წრეში დაშლა და რღვევა გამოიწვია. განსაკუთრებით გაძლიერდა რღვევა და დაცემულობა ინტელიგენციაში...

დაცემულობა და რწმენის უქონლობა შეეხო აგრეთვე იმ პარტიული ინტელიგენტების ერთ ნაწილს, რომლებიც თავის თავს მარქსისტებად სთვლიდნენ, მაგრამ რომლებიც მტკიცედ არასოდეს არ მდგარან მარქსიზმის პოზიციებზე".

რევოლუციის ასეთ თანამგზავრთა რიცხვს ეკუთვნოდა იროდიონ ევდოშვილიც. მის პოეზიაში რეაქციის წლებში უიმედო განწყობილება უფრო მკვეთრ გამოხატულებას ჰპოულობს, ვიდრე ოდესმე, მაგრამ ეს განწყობილება მაინც არ ყოფილა დამახასიათებელი მარტოოდენ ამ პერიოდისათვის. უიდეო განწყობილებას და სევდიან მოტივებს ვხედავთ ევდოშვილის ადრინდელ ნაწარმოებშიც. მაგალითად, იროდიონ ევდოშვილის 1900 წელს გამოქვეყნებულ ლექსში, რომელსაც ჰქვია „უკანასკნელი ცრემლები", უკვე ნათლადაა გამოხატული სევდის, უიმედობის და უპერსპექტივობის განწყობილებანი. 1904 წელს დაწერილ ლექსში კი ევდოშვილი სთვლის, რომ ამ ქვეყნად სამუდამოა მხოლოდ ნაღველი: ზამთარს შეცვლის გაზაფხული, დღეს — ღამე, მაგრამ ნაღველი და სევდა უცვლელია, სამუდამოა.

„დიაღ, ღამეს დღე ისევ მოჰყვება,
მზე გაბადრული ისევ ამოვა,
ღამეს დღე შესცვლის, დილას საღამო,
მხოლოდ ნაღველი სამუდამოა".

ამრიგად, სევდიანი განწყობილებანი დამახასიათებელია იროდიონ ევდოშვილის არა მარტო რეაქციის პერიოდის შემოქმედებისათვის, არამედ წინა პერიოდის შემოქმედებისათვისაც, ოღონდ ის კია, რომ რეაქციის ეპოქამ ხელი შეუწყო ამგვარ განწყობილებათა **წინ წამოწევას.** თუ იროდიონ ევდოშვილს რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში იტაცებდა რევოლუციის გრანდიოზულობა, თუ მისი ლექსიკონი მდიდარი იყო ეპიტეტებით: ჭექა, ქუხილი, ბრძოლა, ელვა, რეაქციის სუსხიან დღეებში მისი ლექსიკონი ივსება მისტიკური ეპიტეტებით: სასაფლაო, კუბო, წყვდიადი და სხვ. პოეტს განსაკუთრებით უყვარს სასაფლაო, იგი გამხდარა მისი სატრფო.

„მიყვარს საფლავი: ჩემი სატრფოა,
იქ ჩავასვენე მე სიყვარული,
იქ არის ჩემი წმიდათა წმიდა,
ჩემი ედემი და გაზაფხული".

ევდოშვილისათვის რევოლუციის დღეებს წარსულის მოგონების მნიშვნელობა აქვს, რომელშიც საიმედოს არაფერს ხედავს. იგი ამაოდ სთვლის სიყმაწვილის ტკბილ სიზმარს, იმ სიყვარულს, რომლითაც იგი დაკავშირებული იყო ამ წარსულთან, რევოლუციასთან.

„როგორ მიყვარდა... ახლა კი ჩაჭკნა,
გადაიშალა ის განთიადზე,
მოკვდა ოცნება და ღამის ბინდში
წავიღე ოხერ და ტლუ საფლავზე.
იქ დავასვენე, იქ არის გული"...

პოეტის სტუმარია მწუხრის აჩრდილი. მტარვალის ხელით დამჭკნარა გაზაფხულის ყვავილი, გაძარცულა ყველაფერი. გაწბილებული პოეტი ამაოდ ოხრავს. ასეთია ი. ევდოშვილის ლექსის—„აჩრდილის" აზრი. თუ ამას მივუმატებთ იმას, რომ პოეტი ამ პერიოდში სწერს მთელ რიგ მისტიკურ-სიმბოლისტურ ნაწარმოებებს, მაშინ ნათელი გახდება, რომ რეაქციის პერიოდში ევდოშვილი როდი შერჩა მთლიანად რევოლუციის, რეალისტური სკოლის ლიტერატურულ მიმდინარეობას, როგორც ამას ახლა რადიანი ამტკიცებს. მაგრამ ასევე არ იქნებოდა სამართლიანი, როგორც ამას ამხ. რადიანი ამტკიცებდა პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, რომ ამ პერიოდში ევდოშვილის შემოქმედება მთლიანად მუშათა მოძრაობის გარეშე დაგვეყენებია და პოეტი რეაქციის ბანაკში დაგვენახა. 1908 წელს, რეაქციის ამ მძვინვარე ხანაში დაწერილ ლექსში — „გასწი, იარე ეკლიანის გზით", პოეტი თავის მოწოდებად სახავს ხალხის სამსახურს. ხალხის ჭეშმარიტ შვილს, მასთან საერთო მიზნით შეკრულს,—ამბობს იგი,—არ უნდა ეშინოდეს ეკლიანი გზისა, და ვიდრე იგი არ დაეცემა, გულგაგმირული, ბრძოლის ველზე, არ უნდა უღალატოს ხალხის სამსახურს. ასეთივე აზრია გატარებული 1909 წელს დაწერილ ლექსში: „ახალი წელი". პოეტი, რომელსაც ესმის ბორკილის ჩხარუნი, ხალხის ქვითინი, თითქოს არ უშინდება ამ შავბნელ წყვდიადს:

„საით, ძმობილო? იქით, საითაც
კიდევ მიგელით მამულიშვილებს,
ჩვენ ვივლით ასე მუდამ სიმღერით,
ვიდრე მთა ბარი არ გაიღვიძებს".

მართალია, შეიცვალა მდგომარეობა, რეაქციის ბრჭყალებში კვნესის ხალხი, მაგრამ:

„კვლავ დაგვიდგება დრო და კვნესა
გადაიქცევა,
მძაფრ ქარიშხლად, შეინანიებს მტერი უკმეხი,
ზიზღი და შური ერთმანეთში შეერთებული,
მას სამუდამოდ დაეცემა როგორც რომ მეხი".

იროდიონ ევდოშვილი არ ჰკარგავს იმედს „სამშობლოდან გაძევების წუთებშიც". გადასახლებაში მყოფი, იგი არ ურიგდება თავის ბედს და გაქცევაზე ოცნებობს, რომ სამშობლოში დაბრუნებული მტერს კვლავ შეებრძოლოს.

ზემონათქვამიდან ის დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, რომ იროდიონ ევდოშვილის შემოქმედება რეაქციის პერიოდშიც არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მთლიანად გაქცევა რევოლუციიდან. ასევე არ იქნებოდა სამართლიანი იროდიონ ევდოშვილის შემოქმედება მექანიკურად გაგვემიჯნა ორ დამოუკიდებელ პერიოდად, პირველი პერიოდისათვის გვეწოდებია რევოლუციური, მეორისათვის — ანტირევოლუციური. იროდიონ ევდოშვილის შემოქმედების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იგი ტიპიური წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის მწერალია და ამის გამო რევოლუციის გარიჟრაჟზე, 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში მის პოეზიაში, ისევე როგორც მის პროზაში, სჭარბობდა ბრძოლისა და რევოლუციის მოტივი. რეაქციის ეპოქაში კი წინ წამოიწევა უიმედო განწყობილება. მაგრამ ისე როგორც პირველ პერიოდში მისთვის დამახასიათებელი იყო სევდიანი განწყობილება, მეორე პერიოდშიც მისი შემოქმედებისათვის არ იყო უცხო რევოლუციური განწყობილებანი, ბრძოლის მოტივები.

საზოგადოდ იროდიონ ევდოშვილის პოეზიის სუსტი მხარე უნდა ვეძიოთ იმ მცდარ პოლიტიკურ პოზიციაში, რომელზედაც იგი იდგა, როგორც პოლიტიკური მოღვაწე; როგორც ცნობილია, იროდიონ ევდოშვილი მენშევიკური პარტიის წევრი იყო. იროდიონ ევდოშვილის მოღვაწეობას თან სდევს მთელი ის იდეური მერყეობა და წვრილბურჟუაზიული განწყობილებანი, რაც დამახასიათებელი იყო ამ პარტიისათვის.

ლენინი მაქსიმ გორკის შესახებ სწერდა: „გორკი უცილობლად უდიდესი წარმომადგენელია პროლეტარული ხელოვნებისა, რომლისთვისაც მან ბევრი რამ გააკეთა და კიდევ მეტიც შეუძლია გააკეთოს...

პროლეტარული ხელოვნების დარგში მ. გორკი უდიდესი **პლუსია,** მიუხედავად იმისა, რომ იგი მახიზმს და ოტზოვიზმს თანაუგრძნობს. სოციალ-დემოკრატიული პროლეტარული მოძრაობის განვითარების საქმეში **პლატფორმა,** რომელიც პარტიაში აცალკევებს ოტზოვისტებისა და მახისტების ჯგუფს და სპეციალური ჯგუფური ამოცანის სახით ვითომდა „პროლეტარული" ხელოვნების განვითარებას აყენებს, — **მინუსია,** ვინაიდან ამ პლატფორმას დიდი ავტორიტეტის მოღვაწეობაში სურს სწორედ ის განამტკიცოს და გამოიყენოს, რაც მის სუსტ მხარეს წარმოადგენს, რაც უარყოფით სიდიდედ შედის მის მიერ პროლეტარიატისთვის მოტანილი უდიდესი სარგებლობის ჯამში". (ლენინი ლიტერატურის შესახებ, გვ. 148-149).

მაქსიმ გორკიმ დიდი ლენინის მეგობრული მზრუნველობით, ბოლშევიკური პარტიის დახმარებით მოახერხა თავი დაეღწია მისი მოღვაწეობის „ამ სუსტი მხარისათვის", რომელიც ლენინმა ასე ხაზგასმით აღნიშნა. რასაკვირველია, სხვანაირ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა საუბარი ევდოშვილს შეეხება.

იროდიონ ევდოშვილის დამსახურება 1905 წლის რევოლუციის წინაშე, მუშათა კლასისა და მისი ხელოვნების წინაშე უთუოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ დამსახურებაში ევდოშვილის „სუსტ მხარეს წარმოადგენს" მისი წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობა, რომელსაც, რასაკვირველია, არც გადაჭარბებული გაზვიადება ესაჭიროება; მაგრამ **არც დავიწყება.** თუ ამხ. რადიანმა იროდიონ ევდოშვილის ნაწერების პირველ გამოცემაში მეტისმეტად გააზვიადა ეს „სუსტი მხარე" ირ. ევდოშვილის შემოქმედებისა, ჩვენ არ ვიცით, რატომ სავსებით დაივიწყა იგი ახალი გამოცემის წინასიტყვაობაში.

ს. ჭილაია

---

[1]) პირველი გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. XXIV.

კონტროლის გაუმჯობესება გერმანიის საბჭოთა და დასავლეთ ზონებს შორის მოძრაობისადმი

ბერლინი, 4 აპრილი. (საკდესი). როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ბერლინის სამხედრო ადმინისტრაციებსა და გერმანიის დასავლეთ საოკუპაციო ზონებს შორის კავშირის უზრუნველსაყოფად, საბჭოთა ხელისუფალთა მიერ თავის დროზე ნებადართულ იქნა მატარებლების, ავტომობილებისა და თვითმფრინავების მიმოსვლა ბერლინსა და დასავლეთ ზონებს შორის გარკვეული ხაზებით, რომლებიც ოკუპაციის საბჭოთა ზონის ტერიტორიაზე გადიან. ამასთან ბერლინსა და დასავლეთ ზონებს შორის, აგრეთვე ოკუპაციის დასავლეთ ზონებსა და საბჭოთა ზონას შორის არსებულ კომუნიკაციებზე წესრიგის დაცვას ახორციელებენ საბჭოთა სამხედრო ხელისუფალნი.

მაგრამ უკანასკნელ დროს ბიზონიაში შიმშილობასთან დაკავშირებით მკვეთრად გადიდდა სადემარკაციო ხაზით დასავლეთი ზონებიდან საბჭოთა ზონაში დამშეული ადამიანების არალეგალური გადმოსვლა, რამაც გაზაფხულის დადგომისას მასობრივი ხასიათი მიიღო. ათასობით გერმანელი მცხოვრები ყოველდღე გადმოდის საბჭოთა ზონაში იმ იმედით, რომ აქ მიიღებს პურსა და სამუშაოს. დასავლეთი ზონებიდან მცხოვრებთა სტიქიურმა მოზღვავებამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომელიც საფრთხეს უქმნის საბჭოთა ზონის მოსახლეობის ნორმალურ მომარაგებას. გარდა ამისა, სარგებლობდნენ რა უკონტროლობით სადემარკაციო ხაზზე, საბჭოთა ზონაში შემოდიოდნენ სპეკულანტები, ბანდიტები, ჯაშუშები და სხვა დანაშაულებრივი ელემენტები. ისინი აქ სჩადიოდნენ დანაშაულობას და მთელ რიგ შემთხვევებში ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას იმ დემოკრატიული წყობილების განმტკიცების ღონისძიებათა წინააღმდეგ, რასაც გერმანელი ხალხი ოკუპაციის საბჭოთა ზონაში ახორციელებს. ზონის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ პრესის, კრებებისა და ლანდტაგების საშუალებით გერმანიის სათანადო ხელისუფალთაგან სამართლიანად მოითხოვა ღონისძიებათა გაძლიერება ზონაში წესრიგისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის დასამყარებლად, აგრეთვე სურსათით საბჭოთა ზონის მოსახლეობის ნორმალური მომარაგების პირობების უზრუნველსაყოფად.

იმდენად, რამდენადაც ამერიკელი და ბრიტანელი ხელისუფალნი არღვევდნენ შეთანხმებას საკონტროლო მექანიზმის შესახებ და საკონტროლო საბჭო როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო თანდათან ისპობოდა, დაიწყო აგრეთვე წესრიგის უხეში დარღვევა სადემარკაციო ხაზზეც და საბჭოთა და დასავლეთ საოკუპაციო ზონებს შორის კომუნიკაციებზე. ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ზონების საოკუპაციო ხელისუფლებმა, რომლებიც ფუშავენ საკონტროლო საბჭოს მუშაობას, შემოიღეს ცალმხრივი სეპარატული მოქმედების პრაქტიკა, რაც არ შეესაბამება ამ ხელისუფალთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

ამერიკულ, ბრიტანულ და ფრანგულ გაზეთებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ საკონტროლო საბჭოს ლიკვიდაცია საეჭვოდ ხდის ბერლინში დასავლეთი სახელმწიფოების ხელისუფალთა შემდგომი ყოფნის კანონიერებას. როგორც სჩანს, ასეთი ეჭვის გამო უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში ბერლინიდან რკინიგზებითა და ავტოსტრადებით, წყლისა და საჰაერო გზებით დასავლეთ ზონებში მტაცებლურად გაჰქონდათ სამრეწველო მოწყობილობა, მზა საქონელი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობა. ასეთი გზით ოკუპაციის საბჭოთა ზონიდან გაიტანეს ძვირფასი ქონების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ბერლინსა და დასავლეთ ზონებს შორის კომუნიკაციებზე დამყარებული რეჟიმის უხეში დარღვევა იყო აგრეთვე პრაქტიკად გადაქცეული უკანონო მგზავრობა მოკავშირეთა სამხედრო მატარებლებით ისეთი პირებისა, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ. სარგებლობდნენ რა იმ გარემოებით, რომ საბჭოთა საკონტროლო პოსტები სადემარკაციო ხაზზე ჩვეულებრივად არ ამოწმებდნენ სამხედრო მატარებელთა მგზავრების დოკუმენტებს, მსხვილი სპეკულანტები, ბნელი პოლიტიკური საქმოსნები და სამხედრო დამნაშავეები, რომლებიც თავის დროზე საბჭოთა ზონიდან გაიქცნენ, ამ მატარებლებით სარგებლობდნენ, რათა ბერლინში უკონტროლოდ შესულიყვნენ და ბერლინიდან საბჭოთა ზონის ტერიტორიაზე შეეღწიათ. ეს იყო საკონტროლო საბჭოს № 43 დირექტივის პირდაპირი დარღვევა, რომლითაც დაწესებული იყო, რომ გერმანელ სამოქალაქო პირებს ერთი ზონიდან მეორეში გადასასვლელად უნდა ჰქონოდათ ერთნაირი ნიმუშის საზონათაშორისო საშვები. ამრიგად, იქმნებოდა არანორმალური მდგომარეობა, როცა საბჭოთა ზონის ტრანსპორტი გადატვირთული იყო სპეკულანტების, სამხედრო დამნაშავეებისა და პოლიტიკური ვიგინდარების გადაყვანით, რომელთაც მუდმივი თავშესაფარი ჰპოვეს დასავლეთ ზონებში, მაშინ როცა, მაგალითად, გერმანიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებული არიან საზონათაშორისო ვაჭრობის განვითარებით, ამის გამო დამატებით სიძნელეებს განიცდიდნენ მგზავრობის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია სერიოზულ ყურადღებას უთმობს საზონათაშორისო კავშირის გაფართოებას. ამის დამამტკიცებელია, კერძოდ, ამა წლის მარტის დამდეგს საგაზაფხულო ვაჭრობის მოწყობა ლაიფციგში, რომელზეც გერმანიის დასავლეთი ზონებიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა 2 ათასამდე მონაწილე ექსპონატებიანად და 35 ათასამდე დამთვალიერებელი.

აღნიშნული ფაქტების მიხედვით და საბჭოთა ზონის ტერიტორიაზე კანონიერების დაცვისა და ადამიანთა და ტვირთის უშიშარი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფალნი იძულებული გახდნენ მიეღოთ ზოგიერთი დამატებითი ღონისძიებანი კონტროლის გასაუმჯობესებლად სადემარკაციო ხაზზე და იმ კომუნიკაციებზე, რომლებიც საბჭოთა ზონის ტერიტორიაზე გადიან.

30 მარტს გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებლის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა დრატვინმა წერილობით აცნობა ბერლინში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციათა შტაბების უფროსებს, რომ ამა წლის 1 აპრილიდან საბჭოთა სარდლობას ზოგიერთი დამატებითი წესი შეაქვს რეჟიმში სადემარკაციო ხაზზე და გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა და დასავლეთი ზონების კომუნიკაციებზე. წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციას განზრახვა აქვს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საზონათაშორისო კავშირის გაფართოებას, რაც ამასთან მოითხოვს ორგანიზებულობას, წესრიგსა და კონტროლს როგორც მგზავრებისა და ტვირთის მოძრაობის უშიშროების მიზნით, აგრეთვე იმ ხმების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც ნავარაუდევია იმისათვის, რათა უნდობლობა შეჰქმნას საოკუპაციო ხელისუფალთა ურთიერთობაში. გადიდდა მოთხოვნა საბჭოთა ზონის ტრანსპორტისადმიც იმ სერიოზულ ამოცანათა გამო, რომლებიც ამჟამად დასახულია ოკუპაციის საბჭოთა ზონის მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარების დარგში, აგრეთვე საზონათაშორისო ვაჭრობისა და შინაზონალური საქონელბრუნვის გაფართოების დარგში, რათა ამაღლებულ იქნას გერმანელი მოსახლეობის საარსებო დონე.

საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების მიერ შემოღებული დამატებითი დებულებანი ასეთია:

1. 1948 წლის 1 აპრილიდან ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ქვეშევრდომმა სამხედრო ადმინისტრაციის ყველა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო თანამშრომელმა და მათმა ოჯახებმა, რომლებიც ოკუპაციის საბჭოთა ზონაში მოემგზავრებიან ბერლინ-ჰელმშტედტის ავტოსტრადით, მარიენბორნისა და ნოვოევსის საკონტროლო-საშვებ პუნქტებში უნდა წარმოადგინონ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მათს ვინაობას და გერმანიაში სამხედრო ადმინისტრაციის ორგანოებისადმი კუთვნილებას. სამხედრო ადმინისტრაციის ორგანოებისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის ასეთივე წესი ვრცელდება რკინიგზის მატარებლებით მგზავრებზეც, რომლებიც დასავლეთ ზონაში მარიენბორნის პუნქტით, აგრეთვე გერმანიის ოკუპაციის დასავლეთი ზონებიდან საბჭოთა ზონაში მოემგზავრებიან.

ის პირები, რომლებიც სამხედრო ადმინისტრაციების ორგანოებს არ ეკუთვნიან, საბჭოთა ზონაში შემოდიან და იქიდან გადიან წინათ დადგენილი წესის საშვებებით.

2. სამხედრო ხელისუფალთა კუთვნილ და გერმანიის დასავლეთ ზონებში გასატან ტვირთს დასატვირთავად მიიღებენ და საკონტროლო-საშვებ პუნქტებში გაუშვებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ ბერლინის საბჭოთა კომენდანტის ან გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის საგარეო ვაჭრობის სამმართველოს ნებართვა ექნებათ, ხოლო დასავლეთი ზონებიდან საბჭოთა ზონაში შემოუშვებენ სათანადო თანდართული დოკუმენტებით.

3. იმ პირთა ყველა ნივთს, რომლებიც საკონტროლო-საშვები პუნქტებით მგზავრობენ, გასინჯავს ამ პუნქტების პერსონალი, გარდა პირადი ნივთებისა, რაც თან აქვთ ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ქვეშევრდომ სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო თანამშრომლებს, რომლებიც სამხედრო ადმინისტრაციათა ორგანოებში მუშაობენ.

ბრიტანეთის გენერალი ბრაუნჯონი, ამერიკელი გენერალი ჰეილი და ფრანგი გენერალი ნუარე თავიანთ საპასუხო წერილებში არ უარჰყოფდნენ საბჭოთა სარდლობის უფლებას—განსაზღვროს ბერლინსა და დასავლეთ ზონებს შორის მოძრაობის ორგანიზაცია და კონტროლი, მაგრამ ცდილობდნენ გადაედოთ დამატებითი დებულებების სამოქმედოდ შემოღება და მიეღწიათ იმისათვის, რომ ეს დებულებანი განხილული ყოფილიყო ოთხმხრივ საფუძველზე, თუმცა მათთვის ცხადი უნდა იყოს, რომ საბჭოთა ზონის ტერიტორიაზე მოძრაობის საკითხები მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების საქმეა, რომლებიც პასუხს აგებენ ოკუპაციის საბჭოთა ზონაში წესრიგისა და სიმშვიდისათვის. ჰეილისა და ბრაუნჯონის წერილები შეიცავდნენ აგრეთვე გალაშქრებას რკინიგზით მიმავალი მგზავრებისა და ტვირთის შემოწმების წინააღმდეგ ჰეილიმ განაცხადა, რომ ამერიკელი ხელისუფალნი თანახმა არიან საბჭოთა საკონტროლო-საშვებ პუნქტებში წარადგინონ მხოლოდ მატარებლის მგზავრთა სიები და ამ სიებისათვის დართული ყველა მგზავრთა სამგზავრო დოკუმენტების პირები. ჰეილის არ განუმარტავს, თუ რატომ ამჯობინებენ ამერიკელი ხელისუფალნი წარადგინონ მხოლოდ დოკუმენტთა პირები და არა თვით დოკუმენტები. აგრეთვე გაუგებარია, თუ რატომ არა სურთ ჰეილის და მის კოლეგებს, რომ საბჭოთა პატრულებმა პირადად შეამოწმონ საბჭოთა ზონით მიმავალი პირების დოკუმენტები, რათა თავიდან აშორებულ იქნას რაიმე გაუგებრობის შესაძლებლობა.

1 აპრილს ძალაში შევიდა საბჭოთა სარდლობის განკარგულება სადემარკაციო ხაზსა და კომუნიკაციებზე კონტროლის გაძლიერების შესახებ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ განკარგულებამ დააკმაყოფილა ყველა ისინი, ვინც პატივს სცემს კანონიერებას. გერმანიის თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, დემოკრატიული პრესა, პოლიტიკური პარტიების მოღვაწეები, აგრეთვე მუშები, გლეხები და ინტელიგენტები საბჭოთა ზონასა და ბერლინში საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელ ღონისძიებას აფასებენ როგორც ისეთ ნაბიჯს, რომელიც გადადგმულია დემოკრატიული წესრიგის შემდგომი განმტკიცებისაკენ, საზონათაშორისო კავშირის გაფართოებისაკენ და საოკუპაციო ხელისუფალთა შორის მომავალში ურთიერთგაგების დამყარებისაკენ.

სულ სხვანაირად მოეპყრნენ ამ განკარგულებას წესრიგისა და კანონიერების დამრღვევნი. ბერლინის დასავლეთი სექტორების გაზეთებმა, რომლებიც ამ წრეების აზრს გამოხატავენ, აურზაური ასტეხეს ვითომ „რკინის ფარდაზე", „ბლოკადაზე" და იმაზე, რომ საჭიროა ბერლინის მომარაგება „საჰაერო ხიდით" და სხვ.

პირველ დღეს, დამატებითი დებულებების შემოღების შემდეგ, მოძრაობა საბჭოთა და დასავლეთ საოკუპაციო ზონებს შორის სრული წესრიგითა და უინციდენტოდ მიმდინარეობდა. მარიენბორნის რკინიგზის სადგურით სადემარკაციო ხაზის ორივე მიმართულებით კონტროლის პროცედურის შემდეგ გაიარა რამდენიმე მატარებელმა ფრანგი, ამერიკელი და გერმანელი მგზავრებით, აგრეთვე დატვირთულმა მატარებლებმა, რომლებისთვისაც გაფორმებული იყო საჭირო დოკუმენტები. იმ შემთხვევებში, როცა ცალკეული მატარებლების კომენდანტები რაიმე მიზეზით უარს ამბობდნენ არ დაეშვათ მგზავრთა დოკუმენტების ან ტვირთის დოკუმენტების კონტროლი, ასეთ მატარებლებს უკანვე აბრუნებდნენ გამომგზავრების სადგურისაკენ. ბერლინ-ჰელმშტედტის ავტოსტრადაზე კონტროლის გაძლიერების შედეგად უკვე პირველ დღეს დაკავებულ იქნა დიდძალი ავტომანქანა სამრეწველო საქონლით და სურსათით საბჭოთა ზონიდან და ბერლინიდან, რომელთა დასავლეთ ზონებში გატანაზეც არა ჰქონდათ საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების ნებართვა. სურსათიანი მატარებლები ბერლინის დასავლეთი სექტორების მოსახლეობისათვის დაუბრკოლებლად მიდიოდნენ დანიშნულების ადგილისაკენ.

ტოლიატის გამოსვლა ვენეციაში

რომი, 6 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ 4 აპრილს ტოლიატი გამოვიდა სახალხო დემოკრატიული ფრონტის მიტინგზე ვენეციაში. მან განაცხადა, რომ იტალიელი ხალხის უპირველესი ამოცანაა უზრუნველჰყოს იტალიაში დემოკრატია, ე. ი. უმრავლესობის ნებასურვილისადმი პატივისცემა. „მანამდე, სანამ დე გასპერის ნათელი პასუხი არ მოუცია მისთვის მიცემულ კითხვაზე — სცნობს თუ არა იგი ხალხის პასუხს, როგორიც უნდა იყოს ეს პასუხი, — ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ და განვუცხადოთ მას, რომ დე გასპერის არა სურს ანგარიში გაუწიოს ხალხის ნებას და რომ იგი მზად არის ყველაფრისათვის, მათ შორის ყოველგვარი მოტყუებისა და სიყალბისათვის, ოღონდ უმრავლესობა შეჰქმნას თავის სასარგებლოდ".

იტალიელი ხალხისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მშვიდობის უზრუნველყოფა. „ამიტომ მე მგონია, რომ ყველა პარტიამ, ყველა პოლიტიკურმა მოღვაწემ და დაჯგუფებამ, რომლებიც არჩევნებში გამოდიან, საზეიმოდ უნდა განაცხადონ, რომ 18 აპრილის შემდეგ იტალიის მთავრობა როგორიც უნდა იყოს იგი, არასოდეს არ მიემხრობა არავითარ კავშირს ან სამხედრო პაქტს, რომელსაც შეუძლია იტალია გადააქციოს საომარი მოქმედების ასპარეზად. როცა ყველას მოვუწოდებ იკისროს ასეთი ვალდებულება, მე გამოვდივარ სახალხო დემოკრატიული ფრონტის სახელით, რომელსაც იტალიის მშრომელთა უმრავლესობა ემხრობა, და პირველ რიგში მივმართავ დე გასპერის იმ მომენტში, როცა ევროპაში შეიქმნა დასავლეთი ქვეყნების სამხედრო კავშირი, ამასთან, ინგლისური პრესის განცხადებით, დე გასპერი ამ კავშირს არ მიემხრო მხოლოდ 18 აპრილის არჩევნების შედეგის წინაშე შიშის გამო, მაგრამ დაჰპირდა არჩევნების შემდეგ მყისვე მიემხროს მას".

დაიჭრა პიეტრო ნენი

რომი, 6 აპრილი. (საკდესი). ანსას სააგენტო იუწყება, რომ 5 აპრილს გვიან საღამოს ავტომობილის კატასტროფის დროს დაიჭრნენ პიეტრო ნენი და ჯუზეპე ლუპისი. ორივე პოლიტიკური მოღვაწე კატანიას ჩაიყვანეს და კლინიკაში მოათავსეს.

ბერლინის სამოკავშირეო კომენდატურაში

ბერლინი, 4 აპრილი. (საკდესი). ბერლინის სამოკავშირეო კომენდანტების მოადგილეთა თათბირზე 2 აპრილს საბჭოთა წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ელიზაროვმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

ჩვენ ვიცით ბერლინიდან გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონებში უმნიშვნელოვანესი ფირმების, სამრეწველო საწარმოების, მოწყობილობის, ტექნიკური დოკუმენტაციისა და სხვა ქონების გატანის მრავალი ფაქტი.

ბერლინიდან გაერთიანებულ ზონასა და საფრანგეთის ზონაში გატანილ იქნა მთელი მოწყობილობიანად და მთელი ტექნიკური დოკუმენტაციიანად 300-მდე სხვადასხვა სააქციო საზოგადოება, სამრეწველო საწარმო და სავაჭრო ფირმა.

გარდა ამისა, ბერლინიდან დასავლეთ ზონებში სისტემატურად გააქვთ შავი და ფერადი ლითონი. მარტო უკანასკნელ თვეში დასავლეთ ზონებში გატანილ იქნა 500 ტონაზე მეტი სპილენძი, 1.000 ტონა ალუმინი და დიდძალი სხვა ფერადი ლითონი.

აღნიშნული ფაქტების შემოწმება ცხადჰყოფს, რომ ყოველივე ეს ხდებოდა მაგისტრატის ზოგიერთი მოხელის, აგრეთვე ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ სამხედრო ხელისუფალთა პირდაპირი ხელშეწყობით. ახლა ცხადი ხდება, რომ ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შეუპოვარმა წინააღმდეგობამ სამოკავშირეო კომენდატურაში სოციალიზაციის კანონის დამტკიცებისადმი დახმარება გაუწია კონცერნებს, ყოფილ აქტიურ ფაშისტებსა და სამხედრო დამნაშავეებს ბერლინიდან ფარულად გაეტანათ თავიანთი საწარმოები და თავიდან აეშორებინათ სოციალიზაცია.

ეს მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს სწორად შევაფასოთ ბერლინში ინგლისისა და ამერიკის ხელისუფალთა წარმომადგენლების მრავალი განცხადების ნამდვილი მნიშვნელობა, რომ ისინი თითქოს ზრუნავენ ბერლინის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ახლა ცხადია, რომ ეს ლაპარაკი ნავარაუდევი იყო გარკვეული პოლიტიკური ეფექტისათვის და მეტი არაფერი. ყოველმა კაცმა იცის, რომ ბერლინიდან საარსებოდ მნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოთა გატანას მიზნად აქვს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება და სამრეწველო წარმოების დონის შემცირება ბერლინში. ამას აორკეცებს კიდევ ის გარემოება, რომ დასავლეთი ზონებიდან ბერლინის მოსახლეობის მოსამარაგებლად სამრეწველო საქონლის შემოტანა მეტად დაბალ დონეზეა.

ბერლინიდან სამრეწველო მოწყობილობისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა მტაცებლური გატანის ფაქტები, რამაც უკანასკნელ დროს ფართო მასშტაბი მიიღო, კარგად იცის ბერლინის მაგისტრატის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც იცის ბერლინის ასობით საწარმოს დატაცება და დღემდე უცნაურ გულგრილობას იჩენს; ხოლო მაგისტრატის ისეთი წარმომადგენლები, როგორიცაა კლინგენჰოფერი და ფიულზაკი, ხელსაც კი უწყობენ ასეთ დატაცებას. ასეთი დუმილი შემთხვევითი როდია. იგი მოწმობს, რომ მაგისტრატი მოსწყდა ქალაქის ცხოვრებას და ზიანს აყენებს ბერლინის მოსახლეობის ძირითად ინტერესებს.

ზემოაღნიშნულის გამო, ჩვენ გადამჭრელ პროტესტს ვაცხადებთ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა უკანონო და ანტიხალხური მოქმედების წინააღმდეგ და მტკიცედ მოვითხოვთ შესწყდეს ბერლინის გაძარცვის ასეთი პრაქტიკა.

ბლუმი იტალიაში მიემგზავრება

რომი, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს მილანს ჩამოდის ლეონ ბლუმი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს აქ „დაისვენოს" ორ კვირას. იტალიის მემარჯვენე სოციალისტთა ორგანო გაზეთი „უმანიტა" იუწყება, რომ ბლუმის შესახვედრად შექმნილია კომიტეტი „მესამე ძალის" წარმომადგენელთაგან, რომლის თაოსნობითაც ბლუმი იტალიაში წაიკითხავს წინასაარჩევნო „ლექციას".

ცდა—ყალბად წარმოადგინონ საბჭოთა დელეგაციის პოზიცია შორეული აღმოსავლეთის კომისიაში

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკდესი). როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, შორეული აღმოსავლეთის კომისიამ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, რომელიც მან 12 თებერვალს მიიღო იაპონიაში სამხედრო საქმიანობის აკრძალვისა და იაპონიის დემილიტარიზაციის შესახებ. ამერიკის საოკუპაციო ჯარების სარდალს გენერალ მაკარტურს გაეგზავნა დირექტივა, რომელიც უბრძანებს შეასრულოს შორეული აღმოსავლეთის კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება.

შორეული აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილება იაპონიას უკრძალავს აწარმოოს ან იქონიოს რაიმე სახის შეიარაღება, საჭურველი და საომარი მასალა, იქონიოს კომერციული ან სამხედრო ავიაცია, აეროდრომები, ავიაბაზები და სიმაგრეები, აგრეთვე აწარმოოს სამხედრო-ლაბორატორიული გამოკვლევანი, შეიმუშაოს სამხედრო-ტექნიკური პრობლემები და გასცეს სამხედრო გამოგონებათა პატენტები. მაკარტურს ებრძანა აკრძალოს იაპონიაში სამხედრო ორგანიზაციების, სამხედრო აკადემიებისა და სხვ. აღდგენა.

მაგრამ, ამ პუნქტებთან ერთად, გადაწყვეტილება შეიცავს ზოგიერთ უაღრესად ზოგად და ორაზროვან ფორმულირებას იაპონიის დემილიტარიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ამ ფორმულირებებმა წინააღმდეგობა გამოიწვიეს საბჭოთა დელეგაციის მხრივ. შორეული აღმოსავლეთის კომისიაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომელიც ცდილობს დაუმალოს საზოგადოებრივ აზრს საბჭოთა დელეგაციის პოზიცია და ყალბად წარმოადგინოს იგი, იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ვაშინგტონიდან გამოგზავნილი ცნობის თანახმად, განაცხადა, თითქოს საბჭოთა კავშირმა ტექნიკური ხასიათის მიზეზებით თავი შეიკავა შორეული აღმოსავლეთის კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილების ფორმალური მოწონებისაგან.

მაგრამ შორეული აღმოსავლეთის კომისიაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ეს განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამება. ნამდვილად საბჭოთა დელეგაციამ კენჭისყრისაგან თავი შეიკავა არა „ტექნიკური ხასიათის“ მიზეზებით, არამედ სავსებით უდავო პრინციპული მოსაზრებებით. ეს მოსაზრებანი საბჭოთა დელეგაციამ ჩამოაყალიბა შორეული აღმოსავლეთის კომისიის მიერ გადაწყვეტილების პროექტის განხილვის დროს.

გადაწყვეტილების პროექტში აღნიშნული იყო, რომ იაპონიას ეკრძალება იქონიოს იარაღი, საჭურველი და ომის საწარმოებელი სხვა საშუალებანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შაშხანების, რევოლვერებისა და სხვა „წვრილი ყალიბის იარაღის“ ხმარების უფლება შეიძლება მიეცეთ იაპონიის სამოქალაქო პოლიციის ორგანოებს.

განხილვის მსვლელობაში გამოირკვა, რომ ტერმინით „წვრილი ყალიბის იარაღი“ ამერიკის წარმომადგენლებს ესმით სასროლი იარაღი, მათ შორის ხელის ტყვიამფრქვევი, აგრეთვე ცრემლსადენი ბომბები.

საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა დამატება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „წვრილი ყალიბის იარაღის სახით მხედველობაში მიღებულია არა ჯგუფური გამოყენების და არა მსხვრევადი ან მასობრივი ზემოქმედების იარაღი, რომელიც შეიძლება ატაროს და გამოიყენოს ერთმა პირმა“.

იმის გამო, რომ შორეული აღმოსავლეთის კომისიის წევრები არ დათანხმდნენ მიეღოთ საბჭოთა დელეგაციის ეს დამატება, სსრ კავშირის დელეგაციამ, რომელსაც არ სურდა გაეჭიანურებინა გადაწყვეტილების მიღება მთლიანად, შესაძლებლად მიიჩნია დაჟინებით არ მოეთხოვა ზემოთ აღნიშნული შესწორება, მაგრამ წინადადება შეიტანა გადაწყვეტილებას დართოდა წვრილი იარაღის ცნების თავისი განსაზღვრის ზემოთ მოყვანილი ტექსტი.

გადაწყვეტილების პროექტში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ იაპონიის არმიისათვის წართმეული ან სამოქალაქო მოსახლეობისათვის ჩამორთმეული სამხედრო საჭურველი შემოწმების შემდეგ უნდა მოისპოს ან გადაცემულ იქნას დასამტვრევად. საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ განსაზღვრა „შემოწმების შემდეგ“ მეტად ზოგადია. საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა — სიტყვები „შემოწმების შემდეგ“ გამოერიცხათ პროექტიდან და აღნიშნა, რომ იაპონიის კაპიტულაციის დღიდან უკვე ორ წელზე მეტმა ხანმა განვლო, ე. ი. ეს ვადა ჭარბად საკმარისია იმისათვის, რომ სავსებით დამთავრდეს როგორც შემოწმება, იაპონელებისათვის წართმეული სამხედრო საჭურვლის როგორც მოსპობა, ისე დასამტვრევად გადაცემა. საბჭოთა დელეგაციის წინადადებას დაეთანხმა შორეული აღმოსავლეთის კომისიის წევრთა უმრავლესობა. საბჭოთა დელეგაცია აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილებაში სიტყვების — „შემოწმების შემდეგ“ შეტანა გამოყენებულ იქნება სამხედრო საჭურვლის მოსპობის ვადების გასაჭიანურებლად. მაგრამ რაკი ეს წინადადება წინააღმდეგობას შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მხრივ, რომელსაც მხარი დაუჭირა ინგლისის დელეგაციამ, იგი მიღებულ არ იქნა.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, საბჭოთა დელეგაციამ შესაძლებლად ვერ მიიჩნია მოეწონებინა შორეული აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილების აღნიშნული პუნქტები არა ტექნიკური მიზეზებით, არამედ იმ მოსაზრებებით, რომლებიც ამ დოკუმენტის არსს ეხებიან.

ასეთია ის მიზეზები, რის გამოც საბჭოთა დელეგაციამ საჭიროდ მიიჩნია თავი შეეკავებინა კენჭისყრისაგან. სსრ კავშირის დელეგაციამ თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ შორეული აღმოსავლეთის კომისიის ამ გადაწყვეტილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იაპონიის დემილიტარიზაციის ჩატარების საქმეში. საბჭოთა დელეგაციამ გადაწყვეტილებაში შეიტანა მთელი რიგი შესწორებანი, რომლებიც აუმჯობესებენ ამ დოკუმენტის დებულებებს. მაგრამ, — დაადასტურა საბჭოთა დელეგაციამ, — როგორც დოკუმენტის განხილვის მსვლელობამ ცხადჰყო, ზოგიერთი მნიშვნელოვანი პუნქტის საბჭოთა შესწორებანი, სამწუხაროდ, არ მიიღეს. სსრ კავშირის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი უფლებას იტოვებს დაუბრუნდეს მათს განხილვას.

ასეთია ფაქტები, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ.

ბერძენ მონარქისტ ფაშისტთა თავხედური თავდასხმა ბულგარელ მესაზღვრეებზე

ბულგარეთის მთავრობის დეპეშა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

სოფია, 6 აპრილი. (საკდესი). გუშინ ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვასილ კოლაროვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის დეპეშა გაუგზავნა, რომელიც შეიცავს ბულგარეთის მთავრობის პროტესტს ბულგარეთის მესაზღვრე რაზმზე ათენის მთავრობის შეიარაღებული ძალების ახალი თავხედური თავდასხმის წინააღმდეგ.

დეპეშაში ნათქვამია, რომ 4 აპრილს, დაახლოებით დღის 12 საათზე, სვილენგრადის მაზრის სოფელ გენერალოვოს სამხრეთ-დასავლეთით მდინარე მარიცაზე მდებარე მთიან კუნძულზე მონარქისტ ფაშისტთა 100-მდე ჯარისკაცი და ჟანდარმი თავს დაესხა ბულგარეთის სასაზღვრო პოსტს. მათ შეიპყრეს და საბერძნეთის ტერიტორიაზე წაიყვანეს სამი ბულგარელი მესაზღვრე. თავდასხმას წინ უსწრებდა ტყვიამფრქვევისა და თოფის ძლიერი სროლა, რაც საბერძნეთის მხრიდან აუტეხეს მინდვრად მომუშავე ბულგარელ მოსახლეობას.

ბულგარეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს ამ თავხედური თავდასხმის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ შეპყრობილი ბულგარელი მესაზღვრეები, დასაჯონ დამნაშავენი და მიიღონ ზომები, რათა ძალადობის ასეთი აქტი აღარ განმეორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნათქვამია დეპეშაში, ბულგარეთის მთავრობა იძულებული იქნება იხმაროს შესაბამისი კონტრღონისძიებანი.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების სხდომა ავსტრიის საკითხებზე

ლონდონი, 7 აპრილი. (საკდესი). ავსტრიის საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების გუშინდელ სხდომაზე დააზუსტეს წინანდელ სხდომაზე მათ მიერ მიღწეული შეთანხმება საბჭოთა კავშირისათვის გადასაცემი ნავთსაბადო ქარხნების საერთო სიმძლავრის, ნავთგამსალებელი საწარმოების, აგრეთვე ნავთის ძიებისა და მოპოვების კონცესიების ვადების შესახებ.

ბიზონიაში

„დაპატიმრებულმა იან მაიაციკმა განაცხადა: საპყრობილიდან იმ პირობით გამათავისუფლეს, რომ ბიზონიაში აღარ ჩავიდენდი ძარცვას. იმის წინააღმდეგი კი არავინ ყოფილა რომ საბჭოთა ზონაში მეძარცვა ხალხი. ინგლისური სატვირთო მანქანით მიმიყვანეს ოკუპაციის საბჭოთა ზონის მოსაზღვრე რაიონში“. გაზეთებიდან



— რატომ გვაგდებენ, კურტ, ბიზონიიდან?
— რას იზამ, არ იცი, რომ ყველა პროფესიონალს კონკურენტი სძულს?

ნახ. ი. ქოქიაშვილისა

პოლონეთის ნოტა ინგლისის მთავრობისადმი ინგლისის ტერიტორიაზე პოლონურ სამხედრო ფორმირებათა შესახებ

ვარშავა, 5 აპრილი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 1 აპრილს ინგლისის ელჩს ვარშავაში გადაეცა პოლონეთის მთავრობის ნოტა ეგრეთწოდებული „პოლონელ გადმოსახლებულთა კორპუსის“ შესახებ. ნოტაში აღნიშნულია პოლონეთის მთავრობის არაერთი წარდგინება ინგლისის სარდლობაში მყოფი პოლონური შეიარაღებული ძალების უსწრაფესი დემობილიზაციისა და რეპატრიაციის საკითხზე.

ამბების განვითარებამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, ნათქვამია ნოტაში, მთლიანად დაადასტურა პოლონეთის მთავრობის შიში, რომ როგორც „გადმოსახლებულთა კორპუსი“, ისე სხვა სამხედრო ფორმირებანი გამოყენებულ იქნება სამხედრო აგიტაციისა და სამშობლოში პოლონელთა დაბრუნების წინააღმდეგ მიმართული ცილისმწამებლური პროპაგანდის მიზნით, აგრეთვე პოლონეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობის მოსაწყობად.

იმის დასადასტურებლად, რომ „გადმოსახლებულთა კორპუსი“ სხვა არაფერია, თუ არა ინგლისური სამხედრო ფორმირება, ნოტაში მოყვანილია ფაქტი, როცა ინგლისის სამხედრო სამინისტრომ პოლონელ ოფიცერს ზ. გავლიკოვსკის კორპუსიდან განთავისუფლებაზე უარი უთხრა ინგლისის სპეციალურ სამხედრო წესდებაზე მითითებით.

ინგლისის ფარგლებს გარეთ არის მთელი რიგი დაუშლელი პოლონური სამხედრო ცენტრები და ბანაკები. მათ ინახავენ ინგლისის ხარჯზე და იყენებენ პოლონეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობისათვის.

ნოტაში შემდეგ აღნიშნულია, რომ ინგლისის სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია სპეციალური სახსრები 4.295 ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით „პოლონური ჯარების“ შესანახავად. 1948-1949 წლებში ამ „პოლონურ ჯარში“ უნდა ირიცხებოდეს 30 ათასი ჯარისკაცი, მათ შორის 10 ათასი ოფიცერი. ეს ბიუჯეტი მოწმობს, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს გააგრძელოს „გადმოსახლებულთა კორპუსის“ არსებობის ვადა და ბრიტანეთის სარდლობაში შეინარჩუნოს პოლონური ფორმირებანი, რომლებიც დემობილიზებული არ არიან.

ნოტაში აღნიშნულია აგრეთვე პოლონეთსა და ინგლისს შორის უკანასკნელ ხანს მიღწეული ეკონომიური შეთანხმებანი, რომლებიც ორივე ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების იმედს იძლეოდნენ. მაგრამ ამ ურთიერთობის ნორმალიზაცია აწყდება ინგლისის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც გაუგებარია პოლონეთის მთავრობისათვის და რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღიდან თითქმის სამი წელი გავიდა, აჭიანურებს წარსული ომის უაღრესად სერიოზული შედეგების ლიკვიდაციას.

პოლონეთის მთავრობა კატეგორიულად წინააღმდეგია იმისა, რომ ინგლისი „გადმოსახლებულთა კორპუსს“ ინახავს, და ინგლისის მთავრობას მიმართავს წინადადებით ხელახლა იქნას განხილული მთელი პრობლემა, აგრეთვე უახლოეს დროში მოხდეს ინგლისის სარდლობაში მყოფი ყოფილი პოლონური შეიარაღებული ძალების სრული და ეფექტიანი დემობილიზაცია და „პოლონელ გადმოსახლებულთა კორპუსის“ უსწრაფესი ლიკვიდაცია.

უშიშროების საბჭოში

ამერიკის დელეგაციის ახალი წინადადება პალესტინის საკითხზე

ნიუ-იორკი, 6 აპრილი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს ყველა წევრმა, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის წარმომადგენელთა გარდა, მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატ ოსტინის მიწვევა — დახურული წესით განიხილონ ამერიკის ახალი წინადადება პალესტინისადმი მეურვეობის დაწესების შესახებ, რაც წარედგინება გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიას, რომელიც 16 აპრილს გაიხსნება.

სხდომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ზოგადად ჩამოაყალიბა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების მეურვეობის დაწესებას გაურკვეველი ვადით. მეურვეობა უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ პალესტინის არაბული და ებრაული თემების წევრთა უმრავლესობა არ შეთანხმდება მთავრობის შექმნის გეგმაზე. ადმინისტრაციული ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეურვეო საბჭოს, რომელიც გენერალ-გუბერნატორს დანიშნავს. ეს უკანასკნელი კანონიერებასა და წესრიგს დაიცავს ადგილობრივი პოლიციის, აგრეთვე მოხალისეთაგან შემდგარი ჯარების დახმარებით. თუ ასეთი ჯარები საკმაო არ აღმოჩნდებიან წესრიგის დასაცავად, გენერალ-გუბერნატორს უფლება ექნება ჯარები მოსთხოვოს იმ სახელმწიფოებს, რომელთა სიაც წინასწარ სდგება და რომლებიც იკისრებენ ვალდებულებას შეიარაღებული ძალების მიწოდების შესახებ.

ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოსტინს ჯერ არ აღუნიშნავს, რომელმა სახელმწიფოებმა უნდა დაახმარონ ჯარები, და შემდეგ ამტკიცებდა, რომ შეერთებულ შტატებს ჯერ არ უკისრიათ ვალდებულება მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო შეიარაღებულ ძალებში ან იმ გეგმის რომელიმე პუნქტის მიხედვით, რაც საორიენტაციოდ არის წარმოდგენილი შეერთებული შტატების მიერ. ამერიკის დელეგაციის წარმომადგენლის მიერ ჩამოყალიბებული გეგმიდან სჩანს, რომ ამერიკის გეგმა მრავალმხრივ ითვალისწინებს მთელი პალესტინისათვის ისეთ რეჟიმს, რომელიც ემსგავსება იერუსალიმისათვის გათვალისწინებულ განსაკუთრებულ ინტერნაციონალურ რეჟიმს, რომელიც წინათ შეტანილი იყო გენერალური ასამბლეის გასულ შემოდგომაზე მოწონებული გეგმის ერთ-ერთ კარში. სანამ მეურვეობის სამთავრობო აპარატი შეიქმნებოდეს, გეგმა შესაძლებლობას ანიჭებს გენერალ-გუბერნატორს გამოიყენოს პალესტინაში უკვე არსებული სამთავრობო აპარატი.

ამას წინათ ინგლისის წარმომადგენელმა კადოგანმა კვლავ განუცხადა უშიშროების საბჭოს, რომ ინგლისი 15 მაისის შემდეგ მოიხსნის პასუხისმგებლობას სამოქალაქო მართვისათვის იმ პერიოდშიც კი, რომლის განმავლობაშიც მიღწეულ უნდა იქნას დროებითი ზავი არაბებსა და და ებრაელებს შორის.

ორი საათის მსჯელობის შემდეგ სხდომა დაიხურა და ოსტინმა დელეგატები მიიწვია კვლავ შეიკრიბონ 7 აპრილს.

არაბთა უმაღლესი კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე ჯემალ-ელ-ჰუსეინი დამასკოდან ჩამოვიდა იმისათვის, რათა კომიტეტს წარმომადგენელი იყოს უშიშროების საბჭოში დროებითი ზავის საკითხზე მომავალი მოლაპარაკების დროს. ჯემალ-ელ-ჰუსეინმა განაცხადა, რომ არაბები არ მიიღებენ წინადადებას მეურვეობის შესახებ.

ამავე დროს ებრაელთა სააგენტომ პრესის წარმომადგენლებს გადასცა განცხადება, რომლითაც უარჰყოფს ამერიკის ახალ გეგმას, როგორც „ცდას შენარჩუნებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ის პოლიტიკა, რაც დასახულია 1939 წლის თეთრ წიგნში და რამაც ებრაელებს მოუტანა მხოლოდ ტანჯვა და სიკვდილი, პალესტინას კი — სისხლისღვრა და ქაოსი“.

გაიხსნა რუმინეთის დიდი ეროვნული კრება

ბუქარესტი, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ეროვნული კრება.

დეპუტატები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ მთავრობის წევრების — პეტრუ გროზას, გეორგიუ დეჟის, ანა პაუკერის, თეოხარი ჟორჟესკუს, სავულესკუს, რადაჩანუს და სხვა მინისტრების გამოჩენას.

აკადემიკოსი პარხონი, რომელმაც სხდომა გახსნა, დიდ ეროვნულ კრებას მიესალმა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი პრეზიდიუმის სახელით. შემდეგ არჩეულ იქნა კრების დროებითი თავმჯდომარე — ასაკით უხნესი დეპუტატი პროფესორი ემანუილ ტეოდორესკუ.

ხვალ შესდგება დიდი ეროვნული კრების პირველი სამუშაო სხდომა.

რუმინეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნების საბოლოო შედეგები

ბუქარესტი, 7 აპრილი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის კომუნიკე რუმინეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ. სულ საარჩევნო სიებში შეტანილი იყო 8.399.416 მოქალაქე, ხმა მისცა 7.661.081 მოქალაქემ. გაუქმებულია 192.490 ბიულეტენი. გადასაცემი იყო 414 დეპუტატის მანდატი. დეპუტატის მანდატები განაწილებულია შემდეგნაირად: სახალხო დემოკრატიის ფრონტმა, რომელმაც 6.959.936 ხმა შეაგროვა (93,2 პროცენტი), მიიღო 405 მანდატი, ბეჟანის ნაციონალ-ლიბერალურმა პარტიამ, რომელმაც 212.438 ხმა შეაგროვა (2,8 პროცენტი)—7 მანდატი, გლეხთა დემოკრატიულმა პარტიამ შეაგროვა 50.532 ხმა (0,7 პროცენტი)—2 მანდატი. სხვადასხვა დამოუკიდებელმა დაჯგუფებებმა შეაგროვეს 245.635 ხმა (3,3 პროცენტი) და არც ერთი მანდატი არ მიუღიათ.

საჰაერო კატასტროფა ბერლინში

ბერლინი, 6 აპრილი. (საკდესი). გუშინ დაახლოებით 14 საათზე ბერლინში დალჰოფის აეროდრომის რაიონში საჰაერო კატასტროფა მოხდა. როცა საბჭოთა თვითმფრინავი „იკ-3“ ძირს დასაშვებად წრეებს აკეთებდა აეროდრომის თავზე, მის ბოლოს დაეჯახა ღრუბლებიდან გამოვარდნილი ინგლისური სამგზავრო თვითმფრინავი „ვიკერს-ვიკინგი“. ორივე თვითმფრინავი დაიმსხვრა. საბჭოთა თვითმფრინავის პილოტი, აგრეთვე ინგლისური თვითმფრინავის ეკიპაჟის 4 წევრი და 10 მგზავრი დაიღუპნენ.

მშობელთა უნივერსიტეტი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისში საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან გაიხსნება მშობელთა უნივერსიტეტი.

მშობელთა უნივერსიტეტის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მოზარდი თაობის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და ჰიგიენის აქტუალურ საკითხებზე ლექციების ჩატარება და ამით მშობელთა პედაგოგიური და საერთო კულტურული დონის ამაღლებისათვის ხელის შეწყობა.

ლექციები მოეწყობა კვირაში ერთხელ კვირაობით, წინასწარ შედგენილი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული თემატიკური კალენდარული გეგმის მიხედვით.

ლექტორებად მოწვეული არიან მ. ბურჭულაძე (საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე), დ. უზნაძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი), პროფესორები გ. თავზიშვილი, რ. ნათაძე, მ. უგრელიძე, ი. ბჟალავა, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დ. ლორთქიფანიძე, დოცენტები ვ. ქაჯაია, ვ. იმედაძე და სხვ.

ნიკო ნიკოლაძის ხსოვნის საღამო

10 აპრილს სრულდება 20 წელი გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალებიდან.

ამ დღეს მწერალთა კავშირი აწყობს ნ. ნიკოლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის შ. დადიანი. მოხსენებას თემაზე: „ნ. ნიკოლაძის ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხავს გ. აბზიანიძე. სიტყვებით გამოვლენ ლ. ასათიანი, გ. კაჭახიძე, თ. მაჭავარიანი, გ. ქიქოძე. დასასრულ გაიმართება კონცერტი.

კულტურის ცენტრალურ სახლში

კვირას, 11 აპრილს, კულტურის ცენტრალურ სახლში სტალინური პრემიის ლაურეატის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ამხ. შ. მშველიძის ხელმძღვანელობით შესდგება ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ახალი ფილმი „ბელინსკი“

კინოსურათ „პიროგოვისათვის“ სტალინური პრემიით დაჯილდოებული რეჟისორი გ. მ. კოზინცევი, სცენარისტი ი. პ. გერმანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოპერატორი ა. ნ. მოსკვინი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი ე. ე. ენეი ახლა მუშაობენ ფილმზე „ბელინსკი“.

კინემატოგრაფიის ეს ახალი ნაწარმოები მიძღვნილი იქნება დიდი რუსი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. მოქმედება იშლება გასული საუკუნის ორმოციან წლებში პეტერბურგსა და ევროპის ქვეყნებში.

კინოსურათ „ბელინსკის“ პერსონაჟთა შორის არიან მწერლები გოგოლი, ლერმონტოვი, ტურგენევი, ნეკრასოვი და გერცენი.

ფეხბურთი

5 და 6 აპრილს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გრძელდებოდა 1948 წლის ფეხბურთის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების მორიგი მატჩები.

5 აპრილს ზუგდიდის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა თელავის ნაკრები გუნდი ანგარიშით 4:3, გუდაუთის გუნდმა სტალინირის გუნდი — 4:2, ხოლო თბილისის გუნდმა გორის გუნდი — 4:0. მახარაძის გუნდთან შეხვედრაში არ გამოცხადებისათვის დამარცხება ჩაეთვალა საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს სოხუმის „დინამოს“.

6 აპრილს შესდგა მეოთხედფინალური შეხვედრები. მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ბათუმის ნაკრები გუნდის ფეხბურთელებმა ცხაკაიის გუნდთან ანგარიშით 1:0 და ქუთაისელებმა გუდაუთელებთან შეხვედრაში — 3:0. მახარაძის ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა ზუგდიდის გუნდი ანგარიშით 2:1. თბილისელებმა მატჩი მოუგეს ფოთელებს ანგარიშით 4:2.

ამინდი

7 აპრილს დღისით და ღამით დასავლეთ საქართველოში იდგა მშრალი ამინდი მცირე მოღრუბლულობით. ყველაზე დაბალი ტემპერატურა დღისით იყო მესტიაში (9 გრადუსი სითბო), მაღალი — სამტრედიაში (23 გრადუსი სითბო). ღამით დაბალი ტემპერატურა იყო მესტიაში (7 გრადუსი ყინვა), მაღალი — ფოთსა და ქუთაისში (12 გრადუსი სითბო).

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში იდგა მშრალი ამინდი მცირე მოღრუბლულობით, ხოლო ფასანაურსა და ყაზბეგში დღისით მოდიოდა თოვლი. დღისით ყველაზე დაბალი ტემპერატურა გუდაურში იყო (4 გრადუსი სითბო), მაღალი (18 გრადუსი სითბო) — ხაშურსა და ახალციხეში. ღამით ყველაზე დაბალი ტემპერატურა (6 გრადუსი ყინვა) გუდაურში იყო, მაღალი—წნორში (6 გრადუსი სითბო).

7 აპრილს დღის 12 საათისათვის თბილისში 17 გრადუსი სითბო იყო.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

მოგებათა მეორე ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1948 წლის 30 მარტს ქ. მოსკოვში.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მეორე ტირაჟში მოგება ხვდა სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის № №	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის № №	მოგების რაოდენობა მანეთობით
000005	12*)	5.000	048879	49*)	10.000
000555	41*)	5.000	053584	1—50	400
000697	30*)	10.000	053681	1—50	400
000918	1—50	1.000	053974	1—50	1.000
001018	12*)	5.000	054369	28*)	5.000
001565	1—50	400	054451	15*)	5.000
002494	39*)	5.000	054669	42*)	5.000
002541	12*)	5.000	055400	1—50	400
002721	46*)	10.000	056152	1—50	400
003067	36*)	10.000	057317	1—50	400
004361	38*)	5.000	057715	39*)	5.000
004512	1—50	400	057998	50*)	5.000
004610	15*)	5.000	058266	35*)	10.000
005023	46*)	10.000	058734	23*)	5.000
005262	14*)	5.000	059284	34*)	5.000
005345	47*)	10.000	059401	19*)	5.000
005346	1—50	1.000	059486	1—50	400
005854	44*)	10.000	059742	29*)	5.000
005910	02*)	10.000	060151	1—50	400
006105	42*)	25.000	060352	17*)	5.000
008357	46*)	5.000	060754	1—50	400
008420	49*)	5.000	061874	20*)	5.000
008438	1—50	400	063912	39*)	5.000
009274	1—50	400	064167	03*)	5.000
009284	38*)	5.000	064245	06*)	10.000
009628	05*)	10.000	064526	1—50	400
010396	36*)	25.000	064888	36*)	10.000
010823	14*)	5.000	064920	30*)	5.000
011222	27*)	5.000	065892	48*)	10.000
011236	1—50	400	067476	14*)	5.000
011692	23*)	10.000	068721	1—50	400
012790	20*)	10.000	069451	1—50	400
013504	33*)	5.000	070090	1—50	400
013969	46*)	5.000	070220	41*)	5.000
014374	28*)	5.000	070489	01*)	5.000
014591	50*)	5.000	070618	1—50	400
014637	1—50	1.000	070954	41*)	25.000
014838	43*)	5.000	071020	31*)	10.000
014972	18*)	5.000	071439	1—50	400
015799	03*)	5.000	072464	1—50	1.000
015913	1—50	1.000	072642	1—50	400
015951	45*)	5.000	073008	03*)	5.000
016255	1—50	1.000	073727	41*)	5.000
016490	1—50	400	073734	36*)	5.000
017081	27*)	5.000	074003	1—50	400
018158	10*)	5.000	074186	43*)	5.000
018590	1—50	1.000	074434	1—50	400
019923	1—50	400	075208	1—50	1.000
021240	1—50	400	075459	45*)	5.000
021599	50*)	5.000	075706	50*)	5.000
021825	1—50	400	077737	1—50	400
024006	1—50	400	077853	1—50	400
024488	26*)	10.000	078098	05*)	5.000
024632	25*)	5.000	079005	04*)	5.000
025477	09*)	5.000	080198	1—50	400
025586	1—50	400	080575	49*)	5.000
026535	04*)	5.000	080619	07*)	50.000
027967	14*)	5.000	081052	1—50	400
028440	46*)	5.000	081148	09*)	5.000
030622	07*)	5.000	081278	1—50	400
032110	1—50	400	082827	37*)	5.000
033621	1—50	400	083528	22*)	5.000
035595	35*)	10.000	084006	17*)	5.000
037790	1—50	400	085281	1—50	1.000
038453	1—50	400	087725	10*)	5.000
040397	46*)	5.000	088072	1—50	1.000
040433	01*)	10.000	088372	45*)	5.000
040498	1—50	1.000	088380	31*)	5.000
040532	1—50	400	088557	1—50	400
040993	13*)	25.000	089543	12*)	10.000
042107	1—50	400	089694	1—50	400
042341	30*)	5.000	090418	1—50	400
042443	25*)	10.000	091879	12*)	5.000
042482	09*)	5.000	092055	44*)	10.000
042497	17*)	10.000	092204	22*)	10.000
043447	50*)	5.000	094186	03*)	5.000
044196	20*)	5.000	094527	1—50	1.000
044375	23*)	25.000	096282	24*)	5.000
044974	1—50	400	096664	49*)	10.000
045357	44*)	5.000	096964	1—50	400
045577	06*)	5.000	097161	46*)	5.000
045689	1—50	400	097433	07*)	50.000
046928	38*)	5.000	098492	12*)	5.000
047568	37*)	5.000	098968	01*)	5.000
048704	32*)	5.000	099800	17*)	5.000

---

*) ამ სერიის ობლიგაციათა დანარჩენ 49 ნომერს ხვდა მოგება 400 მანეთის რაოდენობით თვითეულს.

კომისიის თავმჯდომარე — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ინსპექციის უფროსი მ. ა. ანდრიანოვი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 20 აპრილს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქუჩა № 16), მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ექიმი **მარიამ დავითის ასული დადიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„К вопросу лечения невралогии троиничного нерва алкоголизацией у круглого и овального отверстий“.

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ქ. ერისთავი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ა. მინდაძე.

კინოებში

9 აპრილს: „რუსთაველი“, „ოქტომბერი“ — „თქმულება ციმბირის მიწაზე“; **„ამირანი“, „კომკავშირელი“, „სპარტაკი“** — „იან როგაჩ“; **26 კომისრის სახელობის** — „თქმულება ციმბირის მიწაზე“.

მოქალაქე **შალვა მელიტონის-ძე ნიკოლაიშვილმა**, მცხოვრებმა ქ. ქუთაისში, წულუკიძის ქ. № 117, აღძრა საქმე ქ. თბილისში კოჯრის ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე **ეთერი იოსების ასულ მუშკუდიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე თებროლე, შვილები ნოდარ, ანა და ნინო, ძმა სილიბისტრო შვილით ალექსანდრეთი იუწყებიან **კიმოთე როსტომის-ძე არჩუაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IV, 7 ს. გამოსვენება 11-IV, 3 ს. საბჭოს, 97.

მეუღლე რახილ, შვილები ამბროსი, იაშა და იონა ოჯახებით იუწყებიან **დარმანტო გარსევანის-ძე გუმბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IV ს. ობჩაში.

შვილები ქრისტინე და ნადია, მარიამ, თინა და ნიკუშა თევზაიები, არჩილ და გოგი დემეტრაძეები იუწყებიან **ივლიტე ევანია-თევზაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IV თეკლათში (ცხაკაიის რ.).

მეუღლე კონსტანტინე, შვილები აპოლონ და ნიკოლოზ, რძლები რუსუდან და ზინა, შვილიშვილები თამაზ, ოთარ, კოტე და ზურაბ იუწყებიან **ეკატერინე სიმონის ასულ ყიფიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IV, 7½ ს. გამოსვენება 11-IV, 3 ს. ბაზალეთის შესახვევი, 7. (ვაკე).

ვლადიმერ და აგრაფინა ყიფიანები შვილებით: ვენერა, ვალიკო, თინა, რძალი თინა, სიძე დავით ამაშუკელი იუწყებიან **ეკატერინე ყიფიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-IV, 3 ს. ბაზალეთის შესახვევი, 7.

მეუღლე დომენტი ენუქიძე, შვილი თინა მეუღლე სიმონით და შვილებით: დავით, ია ლეღუნიშვილები, იასონ, ლავრენტი, მირმენ ენუქიძეები, ალექსანდრე ლეღუნიშვილი, ანდრო კიკვიძე ოჯახებით იუწყებიან **ეკატერინე გრიგოლის ასულ იაკობიძე ენუქიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IV, გამოსვენება 11-IV, 5 ს. მიასნიკოვის, 102.

მეუღლე ეფემია შვილებით და სიძეებით იუწყება **ალექსანდრე ეპიფანეს-ძე პარკაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-IV, 7 ს. გამოსვენება 10-IV, 6 ს. ჩუღურეთის შესახვ., 16.

დედა ნადეჟდა, და თამარ, ძმები ლევან, იოსებ ქილარჯიშვილები, მეუღლე კონსტანტინე ბეთანოვი იუწყებიან **ლუბა ანტონის ასულ ქილარჯიშვილი-ბეთანოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-IV, 7 ს. გამოსვენება 11-IV, 5 ს. ბესიკის, 36.

ლუბა, ალექსანდრე გოგიბერიძეები, შოთა ძღენტი ოჯახებით იუწყებიან დედის **ოლღა მალაქიას ასულ გოგიბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IV ქ. ბათუმში, პუშკინის, 96.

მეუღლე თამარ, შვილები არჩილ, მედეა, ძმა დიმიტრი, დები სონია, ელენე ოჯახებით იუწყებიან **ტარასი გიორგის-ძე აბაშიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-IV, 8 ს. გამოსვენება 11-IV, 3 ს. ძერჟინსკის, 6.

შვილები დიმიტრი, ალექსანდრე, რუსუდან იუწყებიან დედის **ნადე დავითის ასულ ანჩაბაძე-მიქელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IV კულაშში.

მეუღლე დარეჯან, შვილები ოთარ და თამაზ, დედა ნატა, ნინო, სერაფიმა, თამარ და ფატი მართაშვილები იუწყებიან **ივანე დავითის-ძე კახრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-IV ს. კავთისხევში (კასპის რ.).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა – 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტირაჟი 110,000 უე 00895